# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 134 (154) | ოთხშაბათი, 10 ივლისი, 1991 წელი | ფასი 10 კაპიკი


საქართველოს რესპუბლიკის

## კანონი

### საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

[illegible]

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 28 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დადგენილება

### [illegible] რედაქტორად დანიშვნის შესახებ

[illegible]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 8 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის

## კანონი

### ადამიანის მოტაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

**ბოლო** ხანს გავრცელდა საშიში დანაშაული — ადამიანის მოტაცება დაზარალებულისა და მისი ახლობლებისაგან დიდი ოდენობით ფულის გამოძალვის მიზნით, რაც მორალურ და მატერიალურ ზიანს აყენებს ადამიანებს, იწვევს საზოგადოებრიობის სამართლიან აღშფოთებასა და გულისწყრომას. ამ მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10) შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 133-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 133. ადამიანის მოტაცება ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონო აღკვეთა.**

ადამიანის მოტაცება ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონო აღკვეთა, ჩადენილი ანგარებით ან სხვა ქვენა გრძნობით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ და გასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, ან გასახლების გარეშე.

2. 8 (1) მუხლის მეორე ნაწილის სიტყვების „(117-ე მუხლი)" შემდეგ ჩაემატოს სიტყვები „ადამიანის მოტაცება (133-ე მუხლი)".

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 28 ივნისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დადგენილება

### რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა თანამდებობების დაკავების წესის შეცვლის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1987 წლის 12 ივნისის № 418 ბრძანების მოქმედება, რომელიც ითვალისწინებს რექტორთა თანამდებობების დაკავებას (არჩევნების გზით).

2. დაწესდეს, რომ ამიერიდან საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს ნიშნავს და ათავისუფლებს რესპუბლიკის პრეზიდენტი, ავტონომიურ რესპუბლიკებში — ადგილობრივი მთავრობის წარდგინებით.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 8 ივლისი.

# მიმართვა

## აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებისადმი

**პატივცემულო დეპუტატებო!**

მოგმართავთ თქვენ ამ ისტორიულ მომენტში, როცა საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მხოლოდ მთელი ძალების კონსოლიდაციის პირობებში, ეთნიკური და ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, არის შესაძლებელი ეფექტიანი ბრძოლა ნამდვილად აყვავებული და დღეგრძელი საზოგადოების შექმნისათვის, რომელშიც ყველა ადამიანი იცხოვრებს ღირსეულად, ცივილიზაციისა და დემოკრატიის მაღალი მოთხოვნების შესაბამისად.

აფხაზი ხალხი მუდამ ქართველი ერის გვერდით იდგა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, უცხოელ დამპყრობთა მრავალრიცხოვანი ურდოების წინააღმდეგ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის მანძილზე. ასევე ქართველ ერს არასოდეს არ მიუტოვებია გაჭირვებისას აფხაზი ხალხი, მაშინაც კი, როცა თვითონ გმინავდა თვითმპყრობელობის უღელქვეშ. ჩვენი ხალხების მეგობრობა არ ჩაუმწარებია იმვსა და ვერაგობას, რომლებიც, სამწუხაროდ, წესად იქცა 1917 წლის და ამიერკავკასიაში ბოლშევიკური იდეოლოგიისა და ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის გავრცელების შემდეგ.

აღარ ჩამოვთვლი ყველა იმ ჭირ-ვარამსა და ტრაგედიებს, რომლებიც გამოიარეს როგორც აფხაზებმა, ისე ქართველებმა 70 წლის მანძილზე. და დღეს კვლავ დაძაბულობაა აფხაზეთში, გამეფებულია ურთიერთუნდობლობა და ეჭვი აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის, თუმცა ამავე დროს, კიდევ უფრო მეტი ინტენსიურობით ხდება ქორწინებანი, მტკიცდება აფხაზთა და ქართველთა სისხლით ნათესაობა. ვერავინ ვერ მოსპობს ორი, ისტორიულად ერთმანეთის გვერდით მცხოვრები მონათესავე ხალხების ამ შეუკავებელ და ისტორიულად განპირობებულ ლტოლვას.

მთელი იმ სიძნელეების მიუხედავად, რომლებიც წილად ხვდა აფხაზ ხალხს მმართველობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ბატონობის პერიოდში, ამ ბოლო წლების მანძილზე უმაგალითო აყვავებას მიაღწია აფხაზთა ეროვნულ-კულტურულმა თავისთავადობამ.

ჩვენ გაგებით ვეკიდებით აფხაზი ხალხის მისწრაფებას, გააფართოოს სახელმწიფო ავტონომია, რომელიც ხანგრძლივი წლების მანძილზე სრულყოფილი არ იყო, ისევე, როგორც სსრ კავშირში კომუნისტური რეჟიმის ბატონობის წლების მანძილზე შექმნილი ყველა პოლიტიკური ინსტიტუტი.

საქართველოს რესპუბლიკაში ახალ საზოგადოებას რომ ვაშენებთ, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ აფხაზეთის სტატუსის განვითარების ტენდენციები, რასაც გააკეთებს კიდეც სპეციალური კომისია, რომელიც საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების წარმომადგენლებისაგან შედგება.

ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია იმის შესახებ, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შელახვაზე, რაც დამკვიდრებულია კიდეც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში. რაც შეეხება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კომპეტენციის გაფართოებას, თანამედროვე მოთხოვნათა სულისკვეთების შესაბამისად, სწორედ ეს უნდა გახდეს მოლაპარაკების საგანი. ცალმხრივი მოქმედება როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან შეუწყნარებელია და მას შეიძლება მოჰყვეს განუჭვრეტელი შედეგები, რომლის მწარე გამოცდილებას, სამწუხაროდ, დღესაც ვგრძნობთ.

გარკვეული ძალები ცენტრში უკვე დიდი ხანია ცდილობენ შეარყიონ საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის შიგნიდან, კერძოდ, დაუპირისპირონ აფხაზი ხალხი ქართველ ხალხს, ამოგლიჯონ აფხაზეთი საქართველოს ცოცხალი სხეულიდან. ყოველი ამგვარი ცდა განწირულია ჩასაფუშავად, რამეთუ ცემენტი, რომელიც ადუღაბებს აფხაზეთს მთელ საქართველოსთან, იმდენად მტკიცეა, რომ მას ვერავითარი გარეშე თუ შინაგანი ძალა ვერ დაანგრევს.

თუ პოლიტიკური ავბედობის წლებშიც კი აფხაზმა ხალხმა შეძლო მიეღწია ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური მწვერვალებისათვის, რომლებიც ვერ შეედრება ვერც ერთ ავტონომიურ, ბევრად უფრო დიდ რესპუბლიკასაც კი, თავისუფალ საქართველოში მისი მომავალი შეიძლება მხოლოდ უფრო გარანტირებული და წარმტაცი იყოს.

მხოლოდ აფხაზი და ქართველი ხალხების, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენელთა თანამეგობრობა და ურთიერთგაგება აფხაზეთის ტერიტორიაზე სამართლიანი საზოგადოების შექმნის გასაღები.

პოლიტიკური რეალიზმი ამავე დროს გვკარნახებს , უწინარეს ყოვლისა აფხაზებისა და ქართველების — ამ ტერიტორიაზე ორი ისტორიულად მცხოვრები ხალხების მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობას, რაც არ გამორიცხავს აფხაზი ხალხის გარკვეული უფლებების ცნობას პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნისა და ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურათა სრულყოფის დროს.

ქართველ ერს, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს ესმით აფხაზი ხალხის მისწრაფებანი, მაგრამ არ დაუშვებენ საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის რეალიზაციას, რაც საქართველოს რესპუბლიკისა და თვით აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კონსტიტუციების უხეში დარღვევის ცდაა, რომლებიც მკაცრ იურიდიულ ბარიერებს აყენებს ამგვარი მოქმედების წინაშე, რომელსაც შეიძლება უაღრესად მძიმე შედეგები მოჰყვეს.

მხოლოდ მაშინ, თუ გამოვიჩენთ საღ გონებას, ჯეროვნად შევაფასებთ პოლიტიკურ და სამართლებრივ რეალიებს, გამოვიჩენთ ურთიერთნდობასა და ნამდვილი თანამშრომლობის სურვილს როგორც აფხაზეთში, ისე მთელ საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხის კეთილდღეობისათვის, გადავჭრით საკითხს საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის შესახებ, რომლის ტერიტორიული მთლიანობა გარანტირებულია საერთაშორისო სამართლით.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიას ვუსურვებ წარმატებას პოლიტიკური ძალაუფლების ახალ სტრუქტურათა შექმნის გზაზე, რომლებიც ორგანულად შეერწყმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ სისტემას.

ღრმა პატივისცემით

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 8 ივლისი.

## მოსმინეთ

# მამაჩემის — არზაყან ემუხვარის სახელით

ამ წერილის ავტორი გივი ემუხვარი ვარ — წყალტუბოში მცხოვრები აფხაზეთის ავტონომიური ეროვნული მთავრობის პირველი თავმჯდომარის (როგორც მისი საფლავის ქვას აწერია — აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის) არზაყან ემუხვარის უმცროსი ვაჟი. მამა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ 1921 წელს იძულებით წავიდა ემიგრაციაში. შვილები: უფროსი ძმა ვლადიმერი და მე დედასთან დავრჩით (ვლადიმერი, როგორც ემიგრანტის, აფხაზეთის პრეზიდენტის შვილი, 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს). მე მამის საფლავი არ მინახავს, მაგრამ სანამ პარიზში ციციაშვილების ოჯახი ცხოვრობდა, დრო და დრო აფხაზეთის მიწას ვგზავნიდი მამის საფლავზე მოსაყრელად. მე ხომ ერთადერთი მემკვიდრე და მისი ძირძველი აფხაზური გვარის გამგრძელებელი ვარ.

მთელმა ჩემმა ცხოვრებამ მონატრებასა და ტანჯვა-წვალებაში გაიარა. მენატრებოდა უნახავი მამა, მისი ხმა, მისი ალერსი; ვიტანჯებოდი ათასგვარი შევიწროებისა და შიშის გამო, მეცოდებოდა ქმრისა და შვილის დამკარგავი დედა, სრულიად ახალგაზრდას რომ დააწვა კისრად ცხოვრების ყველა სიძნელე. რამდენი რამ დამაკლდა! რა ბედნიერი ვარ, რომ ახლა მაინც მომეცა შესაძლებლობა, ამაყად და თავისუფლად ვილაპარაკო ჩემს სახელოვან მამაზე, დიდ პატრიოტსა და მოქალაქეზე, აფხაზი ხალხის ღირსეულ წარმომადგენელზე და საქართველოს საამაყო შვილზე. მას ხომ ამ ორი უსაყვარლესი სახელის გარეშე თავისი არსებობაც კი ვერ წარმოედგინა. ჩვენი ოჯახიც ამის ცოცხალი მაგალითი იყო: მამა აფხაზი, დედა ქართველი — ჩიქვაიძის ქალი.

ისტორიულად გვერდიგვერდ ერთი გზით მიმავალი აფხაზები და ქართველები ხომ ამაყობდნენ: ქართველი აფხაზით და აფხაზი — ქართველით. ნათელ-მირონი, მოყვრობა, მეგობრობა, მორდუობა, ჭირი, ლხინი საერთო ჰქონდათ მათ, უყვარდათ და პატივს სცემდნენ, აფასებდნენ ერთმანეთს და ეს იყო უნიკალური, გამორჩეული შემთხვევა ორი კეთილი ურთიერთობისა. ამიტომ, იყო, რომ იქ, უცხოეთში, საფრანგეთის მიწაზე გარდაცვლილი ჩემი მამა ქართველმა მეგობრებმა ასე გულწრფელი ცრემლებით დაიტირეს.

ეს ურთიერთობა დღესაც გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ მკვიდრი აფხაზების დიდი ნაწილი მაჰაჯირობის დროს მეფის რუსეთმა სამუდამოდ მოწყვიტა თავის მშობლიურ მიწას და თურქეთში გადაასახლა. აფხაზეთში დარჩენილი ძველი გვარების: შარვაშიძეების, ემუხვარების, ანჩაბაძეების, მარშანიების, ძიაპშას, მარღანიების და სხვათა მემკვიდრეები ისევ მტკიცედ აგრძელებენ ამ სასიქადულო ტრადიციებს, ისევ ისე ანთია უქრობი ცეცხლი ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობის, ურთიერთგატანისა და სიყვარულისა.

მაშ, რა ხდება? არძინბები, ოზგანები, შინკუბები, აშუბები, ისკანდერები, აგრბები ხომ მჭიდრო ნათესაურ ურთიერთობაში არიან ზემოთ ჩამოთვლილ ძირძველ გვარებთან, მაგრამ ზოგიერთი მათგანი, ჩემის აზრით, ძალზე ცდება. შეიძლება არც მე ვიყო მართალი. ვის მიწას ეპატრონებიან ისინი, ვის ცხოვრებას განაგებენ, ვის მონაგარზე ბატონობენ? საითკენ უბიძგებენ ისინი აფხაზეთს? ვინ მისცათ მათ უფლება, ჭეშმარიტი აფხაზი ხალხის მაგიერ ილაპარაკონ და მით უფრო, იმოქმედონ? რატომ არაფერს გვეკითხებიან ჩვენ: შარვაშიძეებს, ემუხვარებს და სხვათა ჩვენი წინაპრების სისხლით გაჟღენთილი, მათი ძვლებით მოკირწყლული აფხაზეთის მიწის ბედზე? რა უფლება აქვთ, რა უთესიათ, რომ ასე უტიფრად იქცევიან?

ჩვენ ვერ ვუღალატებთ მამაპაპათა ანდერძს, ვერ შევცვლით მათ მიერ გაკვალულ გზას, ჩვენი გზა სწორია, უმცდარი, ისტორიულად გამართლებული, ნათელი და შეუცვლელი.

ალბათ დღეისათვის ჩვენი განცალკევება ყოვლად დაუშვებელია, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა. მხოლოდ ურთიერთკავშირში შეიძლება აღსდგეს ტრადიციული გრძნობა ამ ორ ერს შორის.

უამრავი შერეული ოჯახი ცხოვრობს აფხაზეთში, თბილისში, ქუთაისში, სად არა!. მათ უყვართ აფხაზეთიც და საქართველოც, რა ვქნათ, რომელი შევაძულოთ, ან რატომ უნდა შევაძულოთ, რომელი გავიმეტოთ? რა ვუთხრათ მათ შვილებს, შვილიშვილებს? რა პასუხი გავცეთ ხალხს, ისტორიას? დადგება დრო, როცა პირუთვნელი და მართალი სიტყვა უნდა ითქვას უკუღმართად გაკეთებულ საქმეზე...

და ეს მცირე გამონაკლისნი იმ გუგულებს მაგონებენ, რომლებიც სხვის ბუდეში კვერცხს დებენ და შემდეგ ბარტყებს გადააგდებენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სადაც დაიბადნენ და შვილებს ზრდიან, სწორედ იმ ბუდის დანგრევა აქვთ გადაწყვეტილი და ეს ბუდე მთლიანი აფხაზეთია საქართველოსგან განუყოფელი.

მე მაქვს ადამიანური და მორალური უფლება, მივმართო მათ: წაუკითხავთ თუ არა აკაკის „გამზრდელი", ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა", კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება", გალაკტიონ ტაბიძის, შოთა ნიშნიანიძის ლექსები, ან გ. შარვაშიძის თხზულებანი? იციან მათი დამოკიდებულება, სიყვარული, პატივისცემა აფხაზი ხალხისადმი? ცხადია, არ წაუკითხავთ ან წაუკითხავთ და ვერ გაუგიათ. ზოგმა მათგანმა კი არც ქართული და არც აფხაზური ენა არ იცის კარგად. ხოლო ძირძველ აფხაზებს, ყველას, არა მარტო წაკითხული, არამედ შეთვისებული და გათავისებულიც აქვთ ის სიბრძნე, ის სახეები, ის იდეები, ასე ლამაზად რომ არის გადმოცემული ზემოხსენებულ მწერალთა პრეტურ ქმნილებებში.

მაგალითისათვის: წიგნი ლირიკა. ეპოსი. დრამა გიორგი შარვაშიძისა, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას რედაქციით ქართულ ენაზე გამოცემულში, გარკვეულად სწერია: ჯერ კიდევ გიორგის პაპის მამამ ქელაიშ აჰმედ-ბეგმა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გამოიჩინა მიდრეკილება, მოეპოვებინა თავის სამთავროსათვის რუსეთის მფარველობა. ეს პოლიტიკური კომბინაცია ეთანხმებოდა რუსეთის ზრახვებსაც. რუსეთს ამ დროს სამეგრელოშიაც ჰქონდა ფეხი ჩადგმული და მეზობელი მხარის შეძენისათვის იმპერატორის მთავრობა მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ეძებდა, ამ ტენდენციებმა ბოლოს იურიდიული გამოხატულება ჰპოვეს საინვესტიტურო სიგელში, რომელიც ალექსანდრე I დაამტკიცა 1810 წლის 17 თებერვალს. ამიერიდან აფხაზეთი აღიარებდა რუსეთის უზენაეს ხელმწიფებას.

აფხაზეთში ჩაყენებული იყო რუსეთის გარნიზონები, და ამავე დროს აფხაზეთი გადაქცეულ იქნა ერთ-ერთ ბაზად დასავლეთ კავკასიის თავისუფლებისათვის მებრძოლი ტომების წინააღმდეგ სამოქმედოდ.

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებასთან დაკავშირებით, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი სვიატოპოლ-მირსკი, რომელიც, როგორც ჩანს, ადრევე ზიარებული ყოფილა ამ პროექტს, მთავარ შტაბს სწერს: „თუ აფხაზები მოისურვებენ ოსმალეთში გადასახლებას, მაშინ ვფიქრობ, რომ ჩვენ ხელი არ უნდა შევუშალოთ მათ". ჩვენ ახლავე შეგვეძლო შევდგომოდით აფხაზეთის კოლონიზაციას, ყაზახ-რუსების საშუალებით, ერთი მთავარი საფუძველთაგანი ის არის, რომ თუ ჩვენ ხელთ იქნება ცარიელი ადგილები ბზიფიდან ენგურის სანაპირომდე, ჩვენ შეგვიძლებით იქ საძირკველი ჩავუყაროთ რუსულ მოსახლეობას. აფხაზეთში იმპერიალისტებმა ამ გეგმის უმნიშვნელოვანესი ნაწილი განახორციელეს კიდევაც: შავი ზღვის სანაპირო ხაზზე აფხაზური მოსახლეობა განადგურებული იქნა, მისი მამაპაპეული მიწა-წყალი დაურიგეს რუს მსხვილსა და წვრილ მოხელეებს. ქვეყნის შუაგულ თემებშიდაც კი შეიქმნა მნიშვნელოვანი კომპაქტური მოსახლეობა უცხოელ კოლონისტებისა. ხოლო 1864 წლიდან აღინიშნება აფხაზეთის ავტონომიის გაუქმება და იგი რუსულ ოფიციალურ ისტორიაში კავკასიის სრული დამონების თარიღად ითვლება.

აფხაზეთის მთავარმა გამოაცხადა თავისი სურვილი, სადაც იგი მოითხოვდა აფხაზეთში ცხოვრების ნებართვას, ან ეცხოვრა ზამთრობით ქუთაისში, ზაფხულობით კი — რაჭაში, ხოლო თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, მაშინ მიეცათ მისთვის პასპორტი იერუსალიმში წასასვლელად, რათა იქ დაელია თავისი სიცოცხლე.

მიხეილს ახალი ღალატი დაბრალდა და 1864 წლის 5 ნოემბერს მოხუცებული და ავადმყოფი მთავარი აფხაზეთისა დაპატიმრებულ იქნა; 7 ნოემბერს ის ჩასვეს გემში და ნოვოროსიისკისაკენ გაამგზავრეს, ხოლო 1865 წელს გადაუყვანიათ ვორონეჟში, სადაც ის გარდაცვლილა. შემდეგში კი მისი გვამი ჩამოასვენეს აფხაზეთში და დაასაფლავეს მოქვის ტაძარში.

რაც საუკუნეების მანძილზე ვერ შესძლეს მუსულმანების სახელით სპარსეთმა და ოსმალეთმა, ის შესძლო რუსის მხედრობამ ქრისტიანობის სახელით და მოუსპო საქართველოს ერთიანობა, დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ოფიციალური ცნობებით, 1783 წლიდან 1801 წლამდე საქართველოს მოსახლეობა განახევრდა. ამრიგად, რუსეთის მიერ 1783 წელს დადებული ხელშეკრულება, რომლის პირობა იყო საქართველოს ტერიტორიის მტრებისაგან დაცვა, ქართველებისათვის ფარატინა ქაღალდზე დაწერილ ცარიელ პირობად დარჩა.

ხომ არ არის მსგავსება ზემოთმოყვანილ ფაქტებსა და იმ მოვლენებს შორის, რაც დღეს ხდება აფხაზეთში?

თუნდაც ავიღოთ აკაკი წერეთლის გამზრდელი და ხაზი გავუსვათ მის ძირითად შინაარსს: „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ", შეიძლება შემდეგ მათ გააგრძელონ... მაგრამ მეეჭვება ასეთი გამზრდელები მათ რომ ჰყოლოდათ, მაშინ აფხაზეთში მიცვალებულთა მთები დადგებოდა. მაგრამ ვაი, რომ არ არიან ისეთი გამზრდელები, რომლებიც თავს მოიკლავდნენ თქვენი უსაქციელობის გამო, ის კი არა, ალბათ გულში ხელს იბრაგუნებენ და სიტყვის თქმასაც კი ვერ გიბედავენ.

ავიღოთ ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა". წაკითხვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ტელევიზორში მაინც ნახავდით (თუ საუბედუროდ არ გამორთეთ — ქართული გადაცემაა). იძულებული ვარ განგიმარტოთ. როდესაც პირწავარდნილი კომუნისტი ცალთვალა კაპიტნის ბრძანებით გემი სოხუმის სანაპიროზე დგას და მთელი სოხუმი ზარბაზნების მიზანშია ამოღებული, რათა მოცემულ ვადაში გამოცხადდეს ემუხვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში სოხუმში ქვა ქვაზე აღარ დარჩებოდა. სწორედ ამ დროს გემზე ადის ემუხვარის ძიძიშვილი ჰაკი აძბა და იჩემებს ემუხვარობას, რომ გადაარჩინოს მისი ძუძუმტე და შემდეგ კი მთლიანად სოხუმი, მაგრამ მეზღვაური შეიცნობს, რომ ის ემუხვარი არ არის და ამ დროს სრული სიმშვიდით გემბანზე თვით ემუხვარი გამოჩნდება. მინდა აქ კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებიდან" მოვიყვანო მეზორნის მიერ ნათქვამი სიტყვები: „ეს იმ გვარის კაცია, რომელთაც უკან დახევა არა სჩვევიათ". ასე უკანდაუხევლად მიდიოდა გემის ბაქანზე სასიკვდილოთ განწირული კიდევ ერთი ემუხვარი. სიკვდილი სიკვდილია, მაგრამ გემის საცეცხლურის მილში ცოცხალი კაცის ჩაგდება, ხოლო მისი ძიძიშვილის, ჰაკი აძბას ზღვაში ჩახრჩობა მხოლოდ ცალთვალა კომუნისტს შეეძლო. ქვეყანაზე წყალი და ცეცხლი, რომლის გარეშე კაცობრიობას არსებობა არ შეუძლია, ამ ორი განწირულისათვის ულმობელი აღმოჩნდა, თქვენ, „მლადადებელნო" აფხაზ ხალხთა „კეთილდღეობისათვის", არ გაგაჩნიათ ასეთი ძიძიშვილები? მაგრამ ვაი, რომ თქვენს მაგივრად თავი რომ გასწიროს, დასცინებენ. ჰკუაც რომ დაარიგონ, ასეთებიც არა ჰყოლიათ.

რომელი თქვენთაგანისათვის არის ცნობილი მორდუობა? რომლის წინაპარი იზრდებოდა აფხაზი გლეხის ოჯახში? რომელ მათგანს ჰყავდა ძიძა ძველი ლეგენდებით, თქმულება-ზღაპრებით, ლექსებით, ისტორიული ამბებით რომ ჰკვებავდა გაზრდილის სულს? ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ გაგრძელდებოდა ეს შესანიშნავი ტრადიციები. ისინიც გაჰყვებოდნენ მათ.

აფხაზური ლიტერატურა? პირველი მწერალი — კლასიკოსი დ. გულია რა ენაზე წერდა? მისი ვაჟი გიორგი ხომ, ფაქტობრივად, რუსი მწერალი იყო. ანდა როგორ უნდა ეწერა აფხაზურად, მან როგორც „ახალი" აფხაზების უმრავლესობამ, მშობლიური ენა არ იცოდა.

როგორც ცნობილია, ბატონებო, აფხაზეთში „მე-9 საუკუნის II ნახევრიდან სახელმწიფოს, მწიგნობრობისა და ეკლესიის ენა არის ქართული".

საქართველო ერთი მთლიანია, ღვთისმშობლის წილხვედრი მშვენიერი ქვეყანა, და როგორც შეუძლებელია მიქელ-ანჯელოს ქანდაკებას, რომელიმე ნაკვეთი მოვატეხოთ და ვცადოთ მისი მიერთება სხვა ქანდაკებასთან, ასევე შეუძლებელია საქართველოს მოვწყვიტოთ აფხაზეთი და სხვას შევუერთოთ.

და დღეს, როცა ასე დაძაბულია ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის, უნდა გავიხსენოთ, რომ საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე გვერდიგვერდ განისვენებენ ჩვენი პატარა ქვეყნის ორი მეთაური — ნოე ჟორდანია და არზაყან ემუხვარი.

დამილოცნიხართ!

რჩევისათვის: გფარავდეთ ღმერთი, სანამ გვიან არ არის, გამოისყიდეთ თქვენი ცოდვები, ნუ დააყენებთ თქვენს უსაფუძვლო პრინციპებს ხალხის ინტერესებზე მაღლა, იცოდეთ, ხალხი არაფერს არ გაპატიებთ!

კეთილი სურვილებით
**გიორგი (გივი) ემუხვარი**

გამოხმაურება

# გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ

[illegible]

სტიქია

# სამაჩაბლო: ლოდინი და იმედი...

**თამარაშენი,** აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, ქემერტი. ამ სოფლების 2,5 ათასი სახლი ნაწილობრივ ან მთლიანად დანგრეულია, ძალიან ბევრს სერიოზული კაპიტალური შეკეთება სჭირდება. დიდი ლიახვის ხეობის თითქმის მთელი მოსახლეობა კარვებში ცხოვრობს. სამაჩაბლოს ფარგლებს გარედან ყოველ ჩამოსულს ერთსა და იმავე კითხვას უსვამენ: რა ისმის მშენებლობის შესახებ? როდის აპირებენ ტექნიკის შემოყვანას? ეს კითხვები დავუსვი გორის პრეფექტის მოადგილეს ყოფილი ცხინვალის რაიონის მართვა-გამგეობის საკითხებში ნუგზარ მაჭავარიანს.

ადამიანთა მოუთმენლობა სულაც არ არის გასაკვირი, თქვა მან. —სამშენებლო სამუშაოები დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს, მაგრამ მარტო გორის რაიონს ეს არ შეუძლია. მთელი ჩვენი რესპუბლიკის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს სამაჩაბლოს დახმარება. ზამთრის დადგომამდე ადამიანები უნდა უზრუნველვყოთ ნორმალური ბინებით. თუ ამას ვერ შევძლებთ, სოფლები დაცარიელდება. ადამიანები, რომლებიც ექსტრემისტთა ტყვიებს არ შეუშინდნენ, იძულებული გახდებიან მიატოვონ სახლები და, იქნებ, სამუდამოდაც... სამაჩაბლო პირველ რიგში უნდა აღვადგინოთ. ეს ექსტრემალური ვითარების ზონაა. ადამიანები სამართლიანად ამბობენ— ნუთუ დაგვივიწყესო? ჯერ იქ არ შეუტანიათ არც ერთი ტომარა ცემენტი, არ შეუყვანიათ არც ერთი ამწე... სამშენებლო სამუშაოთა დაწყების გაჭიანურება ნიშნავს ხელი შევუწყოთ სამაჩაბლოს დაცარიელებას. უკვე დღეს ჩვენთან მოდიან მშენინდუსტრიის საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და მასთან შექმნილი კოოპერატივის „ხურო-90“-ის თანამშრომლები. ისინი კისრულობენ შექმნან ტექნიკური დოკუმენტაცია და ააშენონ ათი საცხოვრებელი სახლი და ერთი დაწყებითი სკოლა სოფელ ქემერტში. ასეთი მაგალითი საგულისხმოა, მაგრამ საკმარისი არ არის. ჩვენს რაიონში შექმნილია სამშენებლო ტრესტი, რომელიც ძირითადად განახორციელებს აღდგენით სამუშაოებს. თავად განსაჯეთ, საქმე ბევრია, ყველა ბაზა და მომსახურე ორგანიზაცია გორშია, სხდომებზე კი ქარელში გვიწევს სიარული.

სოფლებში უკვე მუშაობს რამდენიმე სასურსათო მაღაზია.

თანდათანობით ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება, მოქმედებს თითქმის ყველა სახაბაზო. ოღონდ ეს კია, რომ ადამიანები თხოულობენ, გამონაკლისის სახით, იქნებ ნაკლებ ფასად შემოიტანონ აქ ფქვილი, რადგან პური ძალიან ძვირი ჯდება. პრესაც აღწევს ადგილობრივ მცხოვრებლებამდე. მალე ადგილებზე ადამიანები პენსიებსაც მიიღებენ.

მაგრამ მთავარი დაბრკოლებაა ადგილობრივი მმართველობა. სოფელში მიხვალ და ხელმძღვანელთაგან ვერავის შეხვდები. ყოფილ ხელმძღვანელთა მეტმა ნაწილმა დაკარგა ავტორიტეტი, ხელიდან გაუშვა მართვა-გამგეობის სადავეები, ახლები კი ჯერ არ ჩანან. ერთი იმედი ის არის, რომ მალე აქ არჩევნები გაიმართება. ადამიანები დაასახელებენ თავიანთ რჩეულებს და მაშინ მათი ხმა უკვალოდ არ დაიკარგება.

**რიტა დოლიძე.**
საქინფორმის კორ.

# კოკისპირული წვიმა აჭარაში

**ბათუმი,** 8 ივლისი. (საქინფორმის კორ. თამაზ გენძეხაძე). 7 ივლისს დილის 5 საათზე დაწყებულმა კოკისპირულმა წვიმამ დიდი ზიანი მიაყენა ავტონომიურ რესპუბლიკას. დაზიანდა ციტრუსისა და ჩაის პლანტაციები, ნარგავები, ბაღ-ბოსტნები, ელექტროგადამცემი ხაზები, დაინგრა ხიდები, წაილეკა გზები, დიდი ზარალი განიცადა სოფლისა და ქალაქის მეურნეობამ. ზღვაში მოხვდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და ბათუმის ცენტრალური ნავთობბაზის ჩანადენი წყლები. გაჩერებულია ამ ქარხნის მუშაობა.

ხულოს რაიონში ძლიერი ქარი გახდა თაგო-ხულოს ბაგირგზაზე მომხდარი ავარიის მიზეზი. 2,5 ათას მეტრ სიმაღლეზე აღმოჩნდა ხუთი კაცი, რომლებიც ძლივს გადაარჩინეს. წყალმა დატბორა ქობულეთის და ხელვაჩაურის რაიონების სოფლები.

წყალმცირე მდინარე ყოროლისწყალი იმ დილით გადმოვიდა ნაპირებიდან, საშინელი ძალით მოედინებოდა, გზაზე სპობდა ყველაფერს — ხეებს, ნაგებობებს, რკინაბეტონის ბოძებსა და ა. შ. სულ კი აქ დაინგრა ხუთი ხიდი. წაიღო ბოსტნები, დაინგრა კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმა, წაილეკა ჯებირები, აფეთქდა სატრანსფორმატორო ჯიხური, ძირფესვიანად ამოითხარა უზარმაზარი ხეები. აბობოქრებულმა მდინარემ და კოკისპირულმა წვიმამ, რასაც გრიგალიც ახლდა, მეწყერი გამოიწვია. ავარია მოხდა ჩაისუბნის წყალსატარში და ქალაქ ბათუმის ნახევარზე მეტი უწყლოდ დარჩა.

წყალსატარის სათავო ნაგებობებში გაჩაღებულია აღდგენითი სამუშაოები, რომლებსაც ქალაქ ბათუმის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებელი რომან კასრაძე ხელმძღვანელობს. აი რა გვითხრა მან:

— კოკისპირული წვიმა საათზე ოდნავ მეტ ხანს გრძელდებოდა, მაგრამ თითქმის მთელი ქალაქი დაიტბორა, დაინგრა კომუნიკაციები.

აბობოქრებულმა ყოროლისწყალმა დიდი ზიანი მიაყენა ჩაისუბნისა და წინსვლის კოლმეურნეობებს. დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, დაინგრა ძველი ხიდი დაბა თამარში, წყალმა წაიღო ახალშენის ასფალტის ქარხანა, დაზიანდა სოფლისაკენ მიმავალი კაპიტალური ხიდი. დიდი ზარალი მიაყენა მან ხელვაჩაურის რაიონის სოფლებსაც.

აი რა მოხდა ქობულეთის რაიონში, მდინარე ჩაქვისწყალი გადმოვიდა ნაპირებიდან, დაანგრია კოოპერაციული პროფილაქტორიუმი და წაიღო მსუბუქი ავტომანქანები, დანგრეულია რამდენიმე საწარმოს ავტოფარეხი, დაზიანებულია ჩაქვ-ბათუმის მშენებარე წყალსადენი, ცენტრალურ ტრასაზე შეჩერდა მოძრაობა მდინარე დეხვაზე ხიდის დაზიანების გამო. მდინარე აჭყვისწყალმა დატბორა ქობულეთის ქუჩები, ქობულეთის რაიონის სოფლებში არის მსხვერპლი.

სტიქიური უბედურების ზონაში ჩავიდნენ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ასლან აბაშიძე და აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გურამ ვარშალომიძე.

კვირას, 7 ივლისს, დღის სამ საათზე აჭარის მთავრობაში ოპერატიული თათბირი გაიმართა.

8 ივლისს აჭარის მთავრობაში კვლავ გაიმართა თათბირი, რომელზეც შეიქმნა სამუშაო ჯგუფები ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების დასახმარებლად.

საკუთარ სახლში

# აფხაზეთის ახალი ამბები

### გაჰყავთ ახალი გზა

**შემოსავლელი** გზატკეცილი, რომლის სიგრძე დაახლოებით 20 კილომეტრია, ხან მაღლა ბორცვებზე ადის, ხან ველზე ეშვება და სულ უფრო უახლოვდება აფხაზეთის დედაქალაქს. მან უნდა განტვირთოს ქალაქის მაგისტრალები მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანების ნაკადისაგან. № 18 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მექანიზებულმა რაზმებმა სამუშაოები გააჩაღეს უკვე ქალაქ-კურორტის „კარიბჭესთან“, სადაც გაჰყავთ ხიდები და ესტაკადები, აშენებენ რთულ საინჟინრო გზა-გასაყრებს. ცემენტის, ლითონისა და სხვა მასალა-მოწყობილობის, სამთო და საგზაო მექანიზმების სათადარიგო ნაწილების მოწოდების დიდი შეფერხების მიუხედავად, შემოსავლელ ავტოტრასაზე საქმე კარგად მიდის. საგზაო მეურნეობის მუშაკებმა, კოლმეურნეობა „წებელდასთან“ ერთად, რომლებიც განაგრძობენ წებელდის მთიანი გზის მშენებლობას, მოამზადეს გზის გრუნტი მომავალი ავტოტრასის 4,5 კილომეტრ მონაკვეთზე. ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ წინ სოხუმის შემოსავლელ და ბაღმარნის მონაკვეთებზე, სადაც მალე შეერთდება მდინარე კელასურზე აღმართული ხიდის მალები, რომლითაც შემოუვლიან რა სოხუმის საკურორტო ზღვისპირა ზონას, იმოძრავებენ სატრანზიტო ავტომანქანები.

### ბუნების მუზეუმის ზედამხედველი

**გაუმართლა** ამ ცოტა ხნის წინათ აფხაზეთში შექმნილ ანაკოფიის ისტორიულ-კულტურულ ნაკრძალს. მის დირექტორად დანიშნეს ნიჭიერი მხატვარი და თვითნასწავლი მოქანდაკე, ამჟამად მსოფლიოში ცნობილი ახალი ათონის მღვიმის პირველაღმომჩენი გივი სმირი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა მშობლიური მხარის თვალწარმტაცი კუთხეების შესწავლასა და დაცვას. ნაკრძალის ამოცანად, რომლის აკვატორიაშიც იგი დაიბადა და გაიზარდა, გივი სმირი მიიჩნევს აგრეთვე ბუნების დაცვას.

ნაკრძალის ტერიტორია გადაჭიმულია ზღვიდან კავკასიონის მთავარ ქედამდე და კურორტ გაგრიდან სოხუმამდე. ეს არის დაახლოებით 140 ათასი ჰექტარი ტყე და მწვანედ აბიბინებული მზიური ველები. მეცნიერები და ბოტანიკოსები ამაოდ როდი უწოდებენ მას როგორც სილამაზის ტაძარს, ისე ბუნების მუზეუმს. აქ მდინარე ბზიფის შუა წელში წარმოდგენილია ძალზე საინტერესო ულრანი ტყეები. პისწუ-გუმისთის და რიწის ნაკრძალებს შორის შენარჩუნებულია მრავალი ენდემიმცენარე, რომელიც მსოფლიოში არსად არ გვხვდება ამ ადგილის გარდა და, ამიტომ ძალზე ძვირფასია მეცნიერებისათვის. უფრო სამხრეთით გადაჭიმულია დაწახლებული მთისწინეთი მრავალი ძეგლით. ზედ ზღვისპირას კი — მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიები ზღვისპირა კურორტებითა და განვითარებული სარეკრეაციო ინფრასტრუქტურით.

სახელგანთქმული ახალი ათონის მღვიმის კომპლექსიც ნაკრძალის სამფლობელოშია. ერთი სიტყვით, აქ არის ის, რაც უნდა დავიცვათ. და ნაკრძალის რეჟიმიც უზრუნველყოფს ამ ამოცანის შესრულებას.

### დღისით და ღამით — ცხელი წყალი

**ცხოვრების** ძნელმა პირობებმა, როცა ბაზარში საშინელი სიძვირეა, მაღაზიებში ცარიელი დახლები, ტალონებით კი იმასაც ვერ იშოვი, რაც თითქოს უთუოდ უნდა გერგოს, იმდენად აუცრუა გული სოხუმელებს ყოველივე კარგზე, რომ ისინი საკუთარ თვალებს არ უჯერებენ, როცა მათ ბინებში დღითა და ღამით მოდის ცხელი წყალი!

საიდან ასეთი ფუფუნება? ადამიანებმა უბრალოდ დაივიწყეს, რომ ავტონომიურ რესპუბლიკაში გრძელდება გაზსადენის მშენებლობა. სოხუმში უკვე გაიყვანეს ბუნებრივი გაზი 10.500 ბინაში, ცისფერი ალი აკიაფდა მრავალ საქვაბეში. გაზსადენის რთულ ტრასაზე ახლა მიმდინარეობს საშუალო და დაბალი დაწნევის გაზსადენების მშენებლობა ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მდინარე კელასურამდე, რომელიც მიმდინარე წლის დამლევამდე უნდა დასრულდეს.

მექანიზებულ რაზმებს, მილებისა და სამხოლოებელი მასალების მოწოდებაში სირთულეების მიუხედავად, გაჰყავთ გაზსადენი აფხაზეთის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც. ეს საშუალებას მისცემს არც თუ ისე შორეულ მომავალში ბუნებრივ გაზზე გადაიყვანონ არა მარტო საცხოვრებელი სახლები და უბნები, არამედ ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობაც.

**თენგიზ ჯიბუტი,**
საქინფორმის კორ.

# „გზა დაგელოცოთ“

**„შემოქმედება** მაღალი ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის“, — ბრძანებდა დიდი ილია. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ყველა დარწმუნდა, ვინც დაესწრო საღამოს, რომელიც თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიმართა.

თავისი ხელოვნება წარმოადგინეს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა — პროფესორ ანზორ ქუთათელაძის აღზრდილებმა, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორების ნოდარ ანდღულაძის, თენგიზ ამირეჯიბის, დიზი ხელაშვილის ხელდასმულმა ახალგაზრდა სოლისტებმა, აგრეთვე დოცენტების თეიმურაზ მათურელისა და ნუგზარ კიკნაძის აღზრდილებმა, ილიკო სუხიშვილის სახელობის ხალხური ცეკვის სკოლა-სტუდიის მოცეკვავეებმა, რომლებიც ქორეოგრაფიის ოსტატობას დაეუფლნენ ელენე წერეთლისა და გივი ბუაჩიძის ხელმძღვანელობით, სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლიდან — დამსახურებული მასწავლებლის ნინელ სილვანოვიჩის მოსწავლეებმა, საესტრადო და საცირკო ხელოვნების სასწავლებლიდან რესპუბლიკის სახალხო არტისტების ციცინო ციცქიშვილის და სანდრო თედიაშვილის აღზრდილებმა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების ციალა ქადაგიძის და ჰამლეტ ნატროშვილის მოსწავლეებმა. ფილარმონიის ვესტიბიულში მაყურებელს საშუალება ჰქონდა ეხილა სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა ნამუშევრები.

კონცერტი დაამშვენა ქალაქის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტ ვაჟთა ხალხური სიმღერის ანსამბლმა „გრძმა“ კონსერვატორიის დოცენტის დავით ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით.

ამ ლამაზ დღესასწაულზე ახალგაზრდებთან ერთად იყვნენ მასწავლებლებიც, სწორედ მათ დაულოცეს თავიანთ შეგირდებს გზა დიდ ხელოვნებაში.

საღამო გახსნა და მის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე.

მუსიკისმცოდნე მანანა გედევანიშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა ამ უჩვეულო საღამოს ინიციატორის, რეჟისორ ლევ ფუტლიკის დამსახურება, რომელმაც თავისი შემოქმედებითი ჩანაფიქრი რეალობად აქცია. სწორედ მან წარმოადგინა საღამოს სცენარი და საქართველოს ფილარმონიის თანამშრომლების, კერძოდ, მისი გენერალური დირექტორის ბარამ ბარამიძის ხელშეწყობით ხორცი შეასხა იდეას.

— ფილარმონია, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ბატონმა ბარამმა, — ხუთასამდე მსახიობს აერთიანებს, მაგრამ ორი თვის მანძილზე ჩატარებულმა ატესტაციამ ცხადყო, რომ მსახიობთა ეს შემადგენლობა განახლებას საჭიროებს. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ კონცერტში მონაწილე საუკეთესო ახალგაზრდებს ფილარმონიის სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭოს ფილარმონიის მსახიობთა კატეგორია და გადაეცეთ პირველი ჰონორარი. ამიერიდან მათს დაოსტატებაზე ფილარმონია იზრუნებს.

ამ შთამბეჭდავი საღამოს მოწყობას, რომელიც ჭეშმარიტად ტალანტების დღესასწაული გახლდათ, თეატრის მოღვაწეთა კავშირთან ერთად მხარი დაუჭირა აგრეთვე საქართველოს პროფკავშირებმა და რესპუბლიკის კულტურის ფონდმა.

დასასრულ მოეწყო აუქციონი, რომელზეც ახალგაზრდები ერთმანეთს ეცილებოდნენ სამახსოვროდ შეესყიდათ აფიშა, რომელზეც ეწერა: „გზა დაგელოცოთ“. ჩვენც ვუერთდებით ამ კეთილ სურვილებს და დავულოცავთ ახალგაზრდა შემოქმედთ პირველ ნაბიჯებს დიდ ხელოვნებაში.

**საქინფორმის კორესპონდენტი.**

# ჩვენი საერთო საზრუნავი

**საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სპეციალისტთა ჯგუფმა მინისტრის მოადგილის კახა ქორიძის ხელმძღვანელობით ხაჩირის, ჭიათურის, ამბროლაურის და სხვა რაიონებში ადგილზე შეისწავლა მიწისძვრის შედეგად დაზარალებული საგანმანათლებლო ობიექტების მდგომარეობა. ამასთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა ბატონ კახა ქორიძეს:**

**— სტიქიურმა უბედურებამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა საგანმანათლებლო სისტემის ქსელს. რა ღონისძიებები განხორციელდება მათი აღდგენისათვის სამინისტროს ხაზით?**

— განათლების სამინისტროს ორგანიზაციებმა დაზარალებულ რეგიონებს სხვადასხვა სახის პირველადი დახმარება გაუწიეს. თანამშრომელთა დანაზოგებისა და სასწავლო-საწარმოო შემოსავლებიდან. მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებს გადავურიცხეთ მილიონ 31 ათასი მანეთი, სხვადასხვა სახის კვების პროდუქტები, 68 ათასი მანეთის ღირებულების ტანსაცმელი, თეთრეული, 86 კარავი, ორი ავტომაწე და ორი მოძრავი ელექტროსადგური.

919 საგანმანათლებლო ობიექტიდან 354 ვარგისია. 365 დაზარალებულია, ხოლო 47 ობიექტი დანგრეულია და მოითხოვს თავიდან აშენებას. განათლების სამინისტრო თავისი საპროექტო კანტორის ძალებით შეუდგა 47 ახლად ასაშენებელი საგანმანათლებლო ობიექტის პროექტირებას.

**— როგორი სახის პროექტებით მოხდება ახალი შენობების აგება. იქნება თუ არა განსხვავება ძველ ტიპურსა და ახალს შორის?**

— ამჟამად ხდება ისევ ძველი ტიპური პროექტების გამოყენება, ვინაიდან ახლის დამუშავება ასეთ მოკლე დროში შეუძლებელია. მაგრამ რადგანაც ძირითადად არსებული ტიპური პროექტები ვერ აკმაყოფილებენ დღევანდელ მოთხოვნებს, ჩვენი საპროექტო კანტორის ბაზაზე სულ მალე მოხდება სამეცნიერო-საპროექტო ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელიც დაამუშავებს ახალ საპროექტო ნორმატივებს და შექმნის ახალ მოდელს საქართველოს რესპუბლიკის საგანმანათლებლო სისტემისათვის.

**— როგორ ფიქრობთ, მოესწრება ამ მნიშვნელოვანი მშენებლობის პირველი სექტემბრისათვის დამთავრება?**

— განსაკუთრებით გვაღელვებს ახალი სკოლების მშენებლობის საკითხი. პროგრამა ძალზე მძიმეა, მაგრამ იმედს გვაძლევს ის, რომ საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციები მობილიზებული არიან ამ რეგიონებში და საშენი მასალებიც მხოლოდ ამ რეგიონებისთვისაა გამოყოფილი. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ აუცილებლად მოესწრება ბავშვებისათვის ახალი სასკოლო შენობები პირველი სექტემბრისათვის, რაც ყველა ჩვენგანის საერთო საზრუნავია.

**გულიკო მარკოზაშვილი,**
საქინფორმის კორესპონდენტი.

თანადგომა








# სპეციალისტები უბედურების რაიონში

**გორისა** და მისი რაიონის მცხოვრებნი, სხვადასხვა ორგანიზაციები, სამრეწველო საწარმოები, კოოპერატივები უყურადღებოდ არ ტოვებენ რეგიონებს, რომლებიც მიწისძვრით დაზარალდნენ. უბედურების რაიონში სისტემატურად იგზავნება სურსათ-სანოვაგე, კარვები, საძილე ტომრები და ბევრი სხვა რამ.

ამ დღეებში იქ გაემგზავრა სპეციალისტთა დიდი ჯგუფი, რომელშიც შედიან სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, გორელი არქიტექტორები, სადაზღვევო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, აგრეთვე თბილისელი გეოლოგები.

მიწისძვრით დაზარალებული სოფლების დაწვრილებითმა დათვალიერებამ ცხადყო, რომ ზოგი მათგანი სხვაგან უნდა გადასახლდეს, ხოლო სოფლებში, სადაც სახლები ნაკლებად დაზიანდა, საჭიროა დაუყოვნებლივ დაიწყონ აღდგენითი სამუშაოები.

მიწისძვრით დაზარალებულ ადამიანებს შეხვდა ქალაქ გორის პრეფექტის მოადგილე ნუგზარ მაჭავარიანი. მან დაარწმუნა ისინი რომ, მობილიზებული იქნება ყველა სამშენებლო ორგანიზაცია, რათა დროულად აღადგინონ საცხოვრებელი სახლები და ააგონ ახალი შენობები.

**სურათებზე:** უბედურების რაიონში გორიდან ჩამოიტანეს ჰუმანიტარული დახმარება; სპეციალისტთა ჯგუფი მიწისძვრის რაიონში.

**თეიმურაზ ნაფიშვილის** ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## პრობლემა

# დაუცველი დამცველად ვერ გამოდგება ანუ დემოკრატიის გასაჭირი

**სამწუხაროდ,** იურისტთა კავშირის იმედი, რომ ის იკისრებს მოქალაქეთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას, პრაქტიკულად არ არსებობს, რადგან მის შემადგენლობაში ერთ დამცველზე, შვიდ-რვა დამსჯელი ორგანოს, სასამართლოს თუ იუსტიციის სამინისტროს და იმ მეცნიერ თეორეტიკოსთა წარმომადგენელი მოდის, ვინც წლების განმავლობაში დამსჯელი ორგანოების პოზიციიდან განიხილავს მართლმსაჯულების ინტერესებს.

უნდა დაჩქარდეს საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა დამოუკიდებელი კავშირის შექმნა, რასაც საფუძველი ჩაუყარეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა და დღემდე მიუღწეველი დარჩა ჩვენთვის.

ეს საჭიროა არა მარტო თვით პროფესიულ დამცველთათვის, არამედ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული პარლამენტისა და მთელი ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე.

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება დღემდე იმ იურისტთა პრეროგატივაა, რომლებიც მხოლოდ ურიგდებიან პროფესიული დაცვის ინსტიტუტის არსებობას, რადგან ადვოკატებს არ გვაქვს დამოუკიდებელი საკანონმდებლო ინიციატივის მქონე გაერთიანება.

სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, რომ დღემდე ვერ იქნა მიღწეული ისეთი კანონპროექტის მომზადება, რომ ეჭვის საფუძვლიანობის მიუხედავად, პროკურატურისა და მილიციის ვერც ერთი მოხელე ვერ ბედავდეს, დაცვის უფლებების უზრუნველყოფის გარეშე მოქალაქისაგან განმარტება-ჩვენების ჩამორთმევის მოთხოვნას.

აუცილებელია დაკანონდეს ყოველი მოქალაქის უფლება, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, იცხოვროს საიდუმლო თვალთვალის გარეშე და, მოკვლევა-გამოძიების ორგანოთა წარმომადგენლისათვის კითხვებზე პასუხის გაცემამდე, მოითხოვოს დამცველთან შეხვედრის [illegible] უფლების განხორციელება, რომელიც [illegible] ქვეყანაში.

ნუთუ ქართველი კაცის ღირსება ნაკლებად ანგარიშგასაწევია თავის სამშობლოში, ვიდრე, ვთქვათ შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოხვედრისას, მხოლოდ იმის გამო, რომ იქ საკუთარ მოქალაქეთა უფლებებს იცავენ და ვერ წარმოუდგენიათ, რომ შესაძლებელი იყოს ნებისმიერი სხვა ადამიანის დაცვის უფლების შეზღუდვა.

ეგებ პარადოქსად მოგეჩვენოთ, მაგრამ სოციალისტური მართლმსაჯულების მრავალწლიანმა პრაქტიკამ დაცვის უფლებების არსზე წარმოდგენა [illegible] და იმიტომაც კი ვერ გავრკვეულვართ, რომ ჩვენს მიწა-წყალზე ქართულენოვან მოქალაქეს [illegible] უფრო შეზღუდული აქვს დაცვის უფლებები, ვიდრე იმას, ვინც არ იცის ჩვენი სახელმწიფო ენა.

საგულისხმოა, რომ ეს შესწორება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სულ ცოტა ხნის წინ იქნა ჩამოყალიბებული და ცვლილებათა ავტორებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დაცვის უფლებების შეზღუდვის საფუძვლად.

საქმე ის არის, რომ დღეს, მცირე გამონაკლისის გარდა, მოქალაქის დაკავებისა ან ბრალდების წაყენების მომენტიდან დამცველის დაშვება სწორედ არაქართულენოვან პირთათვის არის სავალდებულო.

სამარცხვინოა, რომ საქართველოს არაქართველ მკვიდრს, რომელსაც უყვარს ჩვენი სამშობლო და დაეუფლა ქართულ ენას, — უხდება უმტკიცოს საგამოძიებო ორგანოებს, „არ ვიცი თქვენი ენაო", მხოლოდ იმის გამო, რომ მიაღწიოს არაქართულენოვან პირთათვის გარანტირებული დაცვის შედარებით გაფართოებული უფლებების სავალდებულო გამოყენებას.

ასევე მიუღებელია ის გარემოებაც, როცა არაქართველს გამოძიება უმტკიცებს: „შენ ქართული ენა იციო", აღნიშნულის გამო, — უზღუდავს დაცვის უფლებას და სანანებლად უხდის, რომ ჩვენი სახელმწიფო ენა ისწავლა.

არაფერს ვამბობ თვით ქართველებზე, რადგან ვერა და ვერ გავცილდით ე. წ. „ინტერნაციონალიზმის" იმ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც ერთა თანასწორუფლებიანობა [illegible]

[illegible]

იმათ, ვინც ხალხთა ეროვნული სულისა და ისტორიული ტრადიციების უგულვებელყოფით, აბსტრაქტულ, „საბჭოთა ხალხისათვის" შექმნილი საკავშირო კანონის თარგმანი შემოგვთავაზეს, ალბათ, ვერც კი წარმოუდგენიათ, რამდენ უკიდეგანო ტრაგედიას ვაწყდებით, როცა პიროვნების „მხოლოდ" ღირსების შელახვის, [illegible] დაცვა.

ვინ მოთვლის, რამდენი ჩვენი თანამემამულე დაავადებულა ფსიქიურად ან ფიზიკურად კი შეწირვია უკანონო გამოძიებასა და მსჯავრდებას იმ ბრალდებებით, რომელსაც დღევანდელი საპროცესო კანონიც კი არ მიიჩნევს სავალდებულო დაცვის ღირსად.

სწორედ დაცვის უფლების განმტკიცებასა და ადამიანის ღირსების დაცვას ემსახურებოდა არაიურისტი დეპუტატების წინადადება, რომ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანისას პირდაპირ ყოფილიყო ფორმულირებული, რომ „მოკლებულია მტკიცების ძალას ის საგამოძიებო მოქმედების ოქმები, რომლებიც გაფორმებულია დამცველის მონაწილეობის გარეშე". სესიამ ეს შენიშვნა გაიზიარა და მიიღო, როგორც კანონში შესატანი ცვლილება, მაგრამ, სამწუხაროდ, კანონის ტექსტის დაზუსტებისას, პროფესიონალებმა გვერდი აუარეს სახალხო დეპუტატთა ამ არსებითი მნიშვნელობის მოთხოვნას.

რაოდენ უცხოა ცალკეული ადამიანის უფლებების დაცვის რეალური ღირებულება იმათთვის, ვინც ტოტალიტარიზმის პრინციპებზე ჩამოყალიბდა და კვლავ იმ სამრეკლოდან გვეხმიანება, ჩანს თუნდაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების შესახებ მომზადებული, საკავშირო კანონიდან გადმოწერილი, აღნიშნული კანონპროექტის ანალიზით, რომელიც თავს მოახვიეს ჩვენს ეროვნულ პარლამენტს.

საკმარისია გავიხსენოთ უდანაშაულო პირთადმი სხვის მიერ ჩადენილი [illegible]

მთელი უბედურება ის არის, რომ კანონის დარღვევით წარმართული გამოძიების შედეგად [illegible]

[illegible]

თუ გავითვალისწინებთ, რომ არის შემთხვევები, როცა [illegible] უნდა დავუშვათ.

მიუხედავად იმისა, რომ მილიონობით უდანაშაულო მოქალაქის რეაბილიტაციამ ნათელყო სოციალისტური ტერორის და მისი უზრუნველმყოფელი სახელმწიფოს ნამდვილი სახე, იდეოლოგიური მონობიდან განთავისუფლება ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა, რადგან ადამიანის უფლებების სრულ გაუფასურებასთან დაკავშირებით გვიჭირს ათვლის წერტილის მოძებნა.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ დამსჯელ ორგანოთა ინტერესებიდან გამომდინარე ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ არ დაშვებულიყო დაცვა, სანამ კონკრეტული მოქალაქისაგან მოკვლევა-გამოძიების ორგანოები არ მიიღებენ პირველად განმარტება-ჩვენებებს.

დიახ, ადვილია მოკვლევა-გამოძიება, როცა ეჭვმიტანილთა ძირითადი კონტიგენტი პრაქტიკულად მოკლებულია დაცვის ელემენტარულ უფლებებს და შესაწირი ზვარაკივით გაგყავს სამსჯავროზე ადამიანი, რომელიც პრაქტიკულად ვერ გაერკვა, რას ერჩის გამოძიება, მის საწინააღმდეგოდ მოქმედებს იგი თუ პირიქით, ცდილობს დაეხმაროს „ობიექტურად" შექმნილ საეჭვო გარემოებებიდან მის, შესაძლებლობისდაგვარად, ნაკლები ზიანით გამოყვანის საქმეში.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ დაკავება-დაპატიმრების საფუძველს ძირითადად წარმოადგენს პირველადი დოკუმენტაცია და ის გარემოება, რომ შესატყვისი ოქმებისა და დადგენილებების გაფორმებისთანავე, სწორედ მათი [illegible]

[illegible]

სწორედ ამ უკანასკნელის შესაბამად არის გათვალისწინებული [illegible]

კერძოდ, მაღალკვალიფიციურ, გამოცდილ, მებრძოლ და შედეგიან დამცველს ისეთივე ოდენობის ჰონორარის მიღების უფლება ჰქონდა, როგორც ახალბედა, გამოუცდელ და პრაქტიკულად სხვისი (მათ შორის გამომძიებლის) კონსულტაციებით მომქმედ ადვოკატს.

სწორედ ამან დააკნინა დაცვა, [illegible]

[illegible]

დამცველის პირადი შემოსავლიდან (პრეზიდიუმში გადარიცხული თანხების გამოყენებით) აწარმოებს მოქალაქეთა დიდი ოდენობის უფასო იურიდიულ მომსახურებას, რის გამოც განთავისუფლებული იყო ყოველგვარი სახელმწიფო დაბეგვრისაგან და სოციუზრუნველყოფისათვის გადასარიცხი თანხის ოდენობაც შესატყვისად ჰქონდა შემცირებული.

დღეს კი ნათლად გამოიკვეთა ადვოკატურაზე შეტევის ტენდენცია, კერძოდ ბრალდებულის თუ სხვა იურიდიული დახმარების მსურველთა მიერ გადახდილი ჰონორარიდან სხვადასხვა გადასახადების საერთო ოდენობამ 70 პროცენტს მიაღწია.

სულ ცოტა ხნის წინ, ცივილიზებული ქვეყნების დასანახად, საერთოდ განთავისუფლდა დაბეგვრისგან კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა შემოსავალი, და ეს მოხდა საჯაროდ, ტელევიზიის მეშვეობით, მრავალმილიონიანი მაყურებლისთვის სსრკ პრეზიდენტის ამ ჰუმანური აქტის დემონსტრირებით.

ასეთ პირობებში, იმ პირების მიერ გადახდილი ჰონორარიდან, რომლებიც სწორედ ოფიციოზის წინაშე იცავენ თავს და მოგვმართავენ მათი უფლებების დასაცავად, დემოკრატიული გარდაქმნების პრეტენზიის მქონე სახელმწიფო თითქმის 50-პროცენტის ამოღებას მოითხოვს, თვით ადვოკატურის პრეზიდიუმისათვის დაწესებული ანარიცხების გარდა.

საგულისხმოა, რომ ჩვენს სინამდვილეში ამ „სიახლეთა" შემომტანთ ადვოკატურიდან წაღებული თანხები არც აინტერესებთ, რადგან, ჯერ ერთი, საქართველოში სულ ხუთასამდე ადვოკატია და მათი შემოსავალი ვერავითარ ამინდს ვერ შექმნის, ძირითადი კი ის არის, რომ მცირე გამონაკლისის გარდა არც ერთი ბრალდებული არ გაიღებს თანხას მის ორგანოთა შესანახად, რომლისგანაც საჭიროებს დაცვას.

[illegible]

ამ საკითხის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია ის არსებითი გარემოება, რომ ხელოვნება და კულტურა სახელმწიფო დოტაციაზეა, ხოლო ადვოკატის შემოსავლის ერთადერთ წყაროს გასაჭირში მყოფი პირისა და მისი ოჯახის მიერ გადახდილი ის თანხა წარმოადგენს, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ისედაც გაუბედურებულ ოჯახს.

იმედია, დამეთანხმებით, რომ ასეთ პირობებში ადვოკატურის დაბეგვრის ნაწილში სტალინიზმის პერიოდშიც კი დაუშვებლად მიჩნეული გადასახადების შემოღება, რეაქციის გამძაფრების მოურიდებელი აქტია და გვჯერა, რომ დღეს, როცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სტრუქტურაში უკვე შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი კომისია, ეროვნული პარლამენტი თვითონ არ დაუშვებს პროფესიული დაცვის შემზღუდავი დაბეგვრის ცენტრისტული თარგის დამკვიდრებას.

საკითხის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ, ადვოკატურისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობა ძირითადად საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე ფინანსდება. ამდენად, ცალკეული მოქალაქის კონსტიტუციური უფლებების გარანტიების რეალური განხორციელება, ჩვენს კონკრეტულ პირობებში მთლიანად საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დაცვის საწინდარსაც წარმოადგენს.

„ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს" — სჯერათ დამფინანსებლებს, და მართალია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთების აღმავლობის პირობებში შეუნიღბავ დიქტატს ვერ ბედავენ, მაგრამ არც იმის უგულვებელყოფა გვარგებს, რომ არ გავითვალისწინოთ ადამიანის უფლებების დარღვევის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენების შესაძლებლობა.

**შალვა რჩეულიშვილი**

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 188.

**რედაქციისაგან:** ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, ამ წერილის დასაწყისში, ავტორის სახელი მითითებულია შეცდომით, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით როგორც ავტორს, ისე მკითხველებსაც.

## ეკოლოგია

# არაგვის წყალი — სუფთა და ანკარა

**არაგვი** და საარაგვო ქართველ მგოსანთა მუზის საუფლოს წარმოადგენდა, მის ერთ დროს მობიბინე და შვებით მოსილ წოლკოტს დაუტყვევებია საქართველოს არაერთი სტუმარი. დღეს კი ლეგენდად თუღა გადავცემთ შთამომავლობას მყვირალობისას, არაგვის ატეხილ, გაუვალ ჭალებში, ფერს ადევნებული ხარ-ირმის ჟინიანი ლტოლვის გასაოცარი მშვენიერების შესახებ.

ტექნიკური „პროგრესის" ჩვენში დანერგილმა მახინჯმა ფორმამ, კონდახით შემოჭრილმა არაბუნებრივმა ცივილიზაციამ და სოციალისტურმა გენოციდმა ყველას და ყველაფერს დაასვა თავისი მსახვრალი დაღი და წარსულში მშვენიერი არაგვის ხეობაც შემოდგომის აზნაურივით პატივაყრილი, გაპარტახებული, და გაჩანაგებული დაგვიტოვა და ეს კიდევ უფრო სავალალოა, რადგან მდინარე არაგვი თბილისის, რუსთავისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის ძირითად არტერიას წარმოადგენს.

დაბა ფასანაური მთიულეთ-გუდამაყრის გასაყართან მდებარეობს, იქ სადაც „თეთრი არაგვი შავ არაგვს ერთვის". პოეტის ეს წარმტაცი სტრიქონი შეიძლება უცებ ბანალურ პროზად გადაიქცეს, თუკი აღვნიშნავთ, რომ ორი შენაკადის შესართავთან ფასანაურიდან გამომდინარე ფეკალური წყლებიც უხვად ჩაედინება. ფასანაურის საუბნო საავადმყოფო, ტურბაზა, ტურისტული სასტუმრო „არაგვი", ფასანაურის მომხმარებელთა საზოგადოების საზკვების ობიექტები, სასტუმრო „ინტურისტი", საგზაო-საექსპლოატაციო უბანი, საშუალო სკოლა, დუშეთის საყოფაცხოვრებო სამმართველოს ფასანაურში მდებარე ობიექტები, კომუნალურ საწარმოთა კომბინატი... აი იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა არასრული სია, რომელთა მიერ ნახმარი ტექნიკური წყლები და ფეკალური მასა ყოველგვარი კონტროლის გარეშე იღვრება და აბინძურებს მდინარე არაგვს. ხოლო თუკი ამას ფასანაურისა და ახლომდებარე სოფლების მოსახლეობასაც დავუმატებთ, მდინარის სათავეშივე არსებული მძიმე ეკოლოგიური სურათის წინაშე აღმოვჩნდებით. 1989 წელს დაბა ფასანაურში დაიწყო მიწისქვეშა საკანალიზაციო კომუნიკაციების, ხოლო ხანდოსხევის შესართავთან ნახმარი, წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. სამუშაოებს ასრულებდა „საქკომუნერმსპეცმშენის" მოძრავმექანიზებული კოლონა №132 (ტრესტის მმართველი გ. ჩახვაძე). ამ ხნის მანძილზე ფასანაურში მხოლოდ ერთ, რუსთაველის ქუჩაზე მოხერხდა საკანალიზაციო ხაზის ჩაწყობა, ისიც ისე უხარისხოდ, რომ ექსპლუატაციაში გასაშვები ობიექტი ორჯერ ჩაიქცა. ასევე ნელი ტემპით მიმდინარეობდა გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაც. სამწუხაროა, რომ დუშეთის რაიონის პრეფექტის თხოვნაზე, გაგრძელებულიყო და დროულად დამთავრებულიყო ფასანაურის მთავარი გამყვანი კოლექტორისა და სამეურნეო ფეკალური კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, „საქკომუნერმსპეცმშენის" სამმართველოს ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა და განუსაზღვრელი ვადით დააკონსერვა მეტად საჭირო ობიექტი. შეიძლება სამმართველოს ამის ობიექტური მიზეზები გააჩნდეს, მაგრამ მშენებლობის საქმეში ჩახედული კაცი დამეთანხმება, რომ ამ ობიექტზე ათვისებული 653 ათასი მანეთი ღირებულების შესრულებული და შუა გზაზე მიტოვებული სამუშაო მოუვლელობისა და ექსპლუატაციაში დროულად არგაშვების გამო განადგურდება და ზარალს ზარალი დაემატება.

მდინარე არაგვის დაბინძურებაში თავიანთი კოლექტიური წვლილი შეაქვთ მდინარისა და მასში ჩამავალი ხევების მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგებულ მეღორეობისა და მსხვილფეხა საქონლის სადგომ ფერმებს. ანანურის, ფასანაურის, გუდამაყრის, მაღაროსკარის, ლაფანაანთკარის, ბულაჩაურის, დუშეთის, ფხოვის, ხარტიშოს, მლეთის, ხადის და სხვა საზოგადოებრივ მეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში არავინ ზრუნავს არა მარტო კაპიტალური, არამედ მარტივი ტიპის ნაკელის შესანახი და წუნწუხშემგროვებელი ორმოების მოწყობისთვისაც კი და წლების განმავლობაში ნაგროვებ, ბალ-მინდვრებისათვის ასე საჭირო ორგანულ სასუქს წვიმა-ნიაღვარი მდინარე არაგვისა და მისი შენაკადებისკენ მიაქანებს.

ანანურ-ზოტიკაანთკარის ტერიტორიაზე, ანანურის სამონასტრო კომპლექსის ყურთან, ბუნების დაცვის დუშეთის სარაიონთაშორისო კომიტეტისა და საქართველოს ჰელსინკის კავშირის დუშეთის რეგიონული განყოფილების კატეგორიული მოთხოვნით, ეკოლოგიური ნორმების მკვეთრი უგულებელყოფის გამო, ფუნქციონირება შეწყვიტა ასფალტის ორმა სახარშმა ქარხანამ და ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელმა საამქრომ. ამჟამად დუშეთის რაიონში, ცივწყაროს ტერიტორიაზე ასფალტის ერთადერთი ქარხანა მუშაობს, იგი თბილისში არსებულ №2 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ეკუთვნის. მართალია, არც ეს ქარხანა მდებარეობს მისთვის შესაფერ ადგილას (ჩვენ ხომ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით წარსულის დაუდევრობას), მაგრამ იგი ყაზბეგის, დუშეთის და ნაწილობრივ მცხეთის რაიონების გზათა მშენებლობასა და საქართველოს ცენტრალურ ავტომაგისტრალს ემსახურება და ამდენად მეტად მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს. ამჟამად ამ ქარხნის არსებული ტერიტორიიდან გატანა, რომლის წარმადობა საათში 32 ტონა ასფალტს შეადგენს, არასასურველი შედეგების წინაშე დაგვაყენებდა, მითუმეტეს, რომ გარემოს დაჭუჭყიანების თავიდან აცილების თვალსაზრისით იგი საგრძნობლად საიმედოდ გამოიყურება. აქ დამონტაჟებული დამცავი ნაგებობების წყალობით მტვრისა და გამონაბოლქვი ჰაერის დაჭერის ეფექტურობა 92,7 პროცენტს შეადგენს, რაც თითქმის ორმოცდაათჯერ მცირეა ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციაზე. ასევე, 1,4-ჯერ აჭარბებს დასაშვებ ნორმებს აზოტის ოქსიდების დაჭერის ეფექტურობა, ხოლო გოგირდის ანჰიდრიდის დაჭერა ასი პროცენტით მოხდა.

ქინვალის წყალსაცავთან, ქალაქ დუშეთისათვის სასმელი წყლის გადამქაჩი სადგურის მახლობლად, შენდება ხის დამამუშავებელი და მავთულბადე-ლურსმნის საწარმოო კოოპერატივი „უნივერსალი" (თავმჯდომარე ა. ძაგნიძე). მართალია, კოოპერატივი მაშინ არსებული სახალხო დეპუტატთა დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით შეიქმნა და ტერიტორიაც ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე გამოეყო, მაგრამ ამ მშენებლობისათვის ბუნების დამცავი ორგანოებიდან მას ნებართვა არ მიუღია. ვფიქრობ, რაიონის პრეფექტურამ ხელახლა უნდა იმსჯელოს კოოპერატივის პროფილისა და მისი შემდგომი საქმიანობის შესახებ. ხოლო თუკი მაქსიმალურად არ იქნება გარანტირებული ეკოლოგიური უსაფრთხოება, ეს კოოპერატივი გატანილი უნდა იქნეს მდინარე არაგვის სანაპირო ტერიტორიიდან.

ქინვალის წყალსაცავიდან (რომლის მიერ მთელ ხეობაში ეკოლოგიური ბალანსის რღვევა ცალკე საუბრის თემაა) წყალი თბილისის ზღვაში გადაიქაჩება, ხოლო ბულაჩაურში, ჰოპორტსა და ნატახტარში არსებული მცირე წყალსაცავი საგუბარებიდან, ადგილზე ჩატარებული ბუნებრივი წმენდისა და ფილტრაციის შემდეგ, სასმელი წყალი პირდაპირი გზით მიეწოდება თბილისის მოსახლეობას. ამ ტერიტორიაზე გადის ქინვალ-თბილისის საკანალიზაციო კოლექტორი, რომელიც არცთუ იშვიათად გამოდის მწყობრიდან და მისგან გადმოღვრილი წყლები სწორედ სასმელი წყლის საგუბარებს აბინძურებს. საკანალიზაციო ხაზს ექსპლუატაციას უწევს მცხეთის რაიონის კომუნალური მეურნეობა, ა. წ. 7 ივლისს თბილისის წყალმომარაგების ფორმირების ზონაში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მიერ მოწყობილი რეიდის დროს, რომელსაც დუშეთის რაიონის პრეფექტი ბატონი ი. ღუდუშაური და ბუნების დაცვის სარაიონთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი ვ. დინუაშვილი ესწრებოდნენ, აღნიშნული კოლექტორის დაზიანებული ადგილებიდან ფეკალური წყლები იღვრებოდა სოფელ არაგვისპირის კერამიკის საამქროსთან, არაგვისპირ-ბიჩინიგაურების მონაკვეთზე, სოფელ ბოდორნაში, ხოლო სოფელ ჰოპორტში ფეკალური მასა წყლის ბუნებრივი წმენდის ბოლო საგუბარში ჩაედინებოდა.

დუშეთის რაიონის პრეფექტურამ, ბუნების დამცავი ორგანოების საშუალებით, მკაცრ კონტროლზე უნდა აიყვანოს ქინვალჰესის ბუფერული აუზის 80 ჰექტარ ფართობზე გაშენებული საკალმახე და თევზის სარეწ ტბორებში საკვების სახით მინერალური სასუქების შეტანის საკითხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ტბორები გადაიქცევიან მდინარე არაგვის დაბინძურების ერთ-ერთ ძირითად კერად.

ქინვალის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმო (უფროსი დ. კერესელიძე) დუშეთის რაიონში მდებარე ერთ-ერთი ძლიერი ორგანიზაციაა, იგი დიდად ეხმარება რთული გეოგრაფიული რელიეფის გამო მეწყერსაშიშ ზონად გადაქცეულ რეგიონს, მაგრამ იგი ამასთანავე მდინარე არაგვის დაბინძურების ერთ-ერთ კერასაც წარმოადგენს. ვფიქრობ, რაიონის პრეფექტურამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა მისი არსებული ტერიტორიიდან გატანის შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელობასთან და ბუნების დამცავ ორგანოებთან შეთანხმებით ორი ჰექტარი მიწის ნაკვეთი გამოჰყო, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს ავტოსატრანსპორტო საწარმოს მოსაწყობად გათვალისწინებულ ეკოლოგიურ პირობებს.

როგორც ვხედავთ, გარემოს დაცვის თვალსაზრისით თითქმის ყველგან ანალოგიურ სურათს ვაწყდებით. ერთ საგაზეთო წერილში შორს წაგვიყვანდა არაგვის ხეობაში განლაგებული ყველა ქარხნის, ორგანიზაციის, საწარმოს, კოოპერატივისა თუ მშენებარე ობიექტის მიერ ეკოლოგიური ნორმების უგულებელყოფაზე დაწვრილებითი საუბარი. ამჯერად მხოლოდ ზოგიერთი მათგანი აღვნიშნოთ; დუშეთის საყოფაცხოვრებო მომსახურების ბაგიჭალაში არსებული ქვის სახერხდამამუშავებელი საწარმო, „საქსაკოლმეურნემშენის" ბოდორნის მექანიზაციისა და ტრანსპორტის საწარმოო სამმართველო, მცხეთის რაიონის ნატახტრის მეხილეობის საზოგადოებრივი მეურნეობა, მცხეთის საკონსერვო ქარხანა, სოფელ ნავაზართან არსებული ქვის სამსხვრევი საამქრო, მცხეთის სამრეწველო კომბინატი, ყველ-კარაქის კომბინატი, ღვინის ქარხანა და სხვა.

სასმელი წყალი ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში დეფიციტს წარმოადგენს და იგი ბოთლით იყიდება, ჩვენ კი ეს სიმდიდრე ღვთით მომადლებული გვაქვს და თუკი ჩვენი შთამომავლები არაგვის ჭალებში ვეღარასოდეს გაიგონებენ ხარირმის ჟინიან ძახილს, არაგვის სუფთა მაცოცხლებელი ანკარა წყლით მაინც უნდა უზრუნველვყოთ მათი ჯანმრთელობა.

**ანზორ სულიაური,**
„საქართველოს რესპუბლიკის" საკუთარი კორესპონდენტი.

## საზღვარგარეთ

ლონდონში „დიდი შვიდეულის" შეხვედრის წინ ამერიკულმა გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნმა" დაბეჭდა ჯორჯ უილის სტატია:

# „გავლენიანი შუამავალი. ეს ის არ არის, რაც მოსკოვშია საჭირო"

ეს იყო ჩვეული სანახაობა, როდესაც ნობელის მშვიდობის პრემიის [illegible] ერთადერთი მნიშვნელოვანი ავტორიტარული ხელმძღვანელი. [illegible]

რისთვისაა იგი პასუხისმგებელი? მან აღნიშნა, რომ წუხს ერთაშორის შუღლზე და მისი მთავრობის მიერ ბალტიისპირეთში ჩადენილ ძალადობაზე, აგრეთვე იმის გამო, რომ ეროვნული შემოსავლის 25 პროცენტი სამხედრო მიზნებს ხმარდება.

გორბაჩოვის თხოვნას დახმარებაზე ზოგიერთი ამერიკელი განიხილავს, როგორც მიწვევას, გამოისყიდონ ქვეყანა. ამერიკას შეუძლია გამოიხსნას საბჭოთა კავშირი. მაგრამ როგორ? ფულის მიცემით?

ბატონი გორბაჩოვი, რომელმაც „1917 წელს გაკეთებულ სოციალისტურ არჩევანს" ერთგულება შეჰფიცა, უზარმაზარ დახმარებას უგზავნის დასავლეთ ნახევარსფეროში შემორჩენილ ერთადერთ ტოტალიტარულ რეჟიმს, რომლის ძალაუფლებაც ეყრდნობა კომუნისტური პარტიის ელიტას და უშიშროების კომიტეტს, წააგავს არასიმპათიურ ოლივერ ტვისტს, რომელიც თეფშზე სალაფავის დამატებას ითხოვს.

უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში მსოფლიო პოლიტიკას ორი უმთავრესი კითხვა აწუხებს: ვინ არის მიხეილ გორბაჩოვი და იქნება თუ არა ნომენკლატურა (საბჭოთა სისტემის პრივილეგირებული სამი მილიონი) ისტორიაში პირველი მმართველი კლასი, რომელმაც ალტრუისტული მიზნებისათვის თვითლიკვიდაცია მოახდინა. პასუხი ნათელია.

ბატონი გორბაჩოვი ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე ყველაზე ამოუცნობი და გაზვიადებული პიროვნებაა. ისტორიკოსს და კონგრესის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს ჯეიმს ბილინგტონს სწამს, რომ ბ-ნ გორბაჩოვს „არასოდეს ჰქონია ნათელი პროგრამა და ყველაფერ იმას, რასაც იგი განიზრახავდა, მოელოდა ან გააკონტროლებდა, მოვლენები ყოველთვის წინ უსწრებდნენ". ბილინგტონის სიტყვით, გორბაჩოვი „წმინდა წყლის ნომენკლატურის შვილია", იმ ნომენკლატურისა, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავის უკვდავყოფაზე ზრუნავს.

უძრაობასთან მებრძოლ საბჭოთა კავშირის დემოკრატიულ ძალებს მაგალითად ამერიკა აქვთ აღებული, რომლისგანაც განსხვავებული კულტურის ხალხებისგან ერთი ერისა და სახელმწიფოს შექმნის გამოცდილება სურთ გადმოიღონ. ამერიკას შეუძლია მოვლენებზე მცირეოდენი გავლენის მოხდენა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მან გორბაჩოვს ძველი თამაშის გაგრძელების ილუზიები არ უნდა დაუტოვოს, იმით, რომ მისი და ნომენკლატურის ყალბ კანონიერებას, ხალხის აზრის გაუთვალისწინებელი გარიგებებით აღიარებს.

კარგი იქნებოდა, ამერიკის საელჩოში გვეხილა ბ-ნი ბილინგტონი ან ისტორიკოსი რიჩარდ პაიპსი — ისინი თავისუფლად ფლობენ რუსულს, [illegible]

[illegible] „...ული" საქმეა, რომელიც უნდა წარმართონ „პრაქტიკულმა" ხალხმა, მათი პრაქტიციზმი ერთაშორისი ურთიერთობების ხარჯზე, მთავრობათაშორისი გარიგებების გაზრდაში გამოიხატება. ბ-ნი შტრაუსი მეტად გამოცდილი და ყველა როლისთვის ვარგისი კაცია, მაგრამ ახალი მისია მას ნამდვილად არ შეეფერება.

„ნიუ-იორკ ტაიმსში" დაბეჭდილი სტატიის სათაური, „თავგამოდებული კაპიტალისტი", რომელიც მის დანიშვნას შეეხება, მისი მეგობრის სიტყვებიდან მოდის: „შტრაუსი არის ყველაზე უფრო თავგამოდებული კაპიტალისტი, რომელიც კი ოდესმე ყოფილა. შეხედეთ მისი კლიენტების ნუსხას, რომელიც 500 კომპანიას შეიცავს. იგი ასწავლის მათ ფულის კეთებას".

მართლა?! ჯანმრთელ საზოგადოებაში ფული კეთდება საგნების წარმოებით და არა „კლიენტთა ნუსხის" ქონით.

როკფელერის, ასტორის, კარნეგის, ჰარიმანის, ფორდის, ლიუსსის და დღევანდელი კაპიტალისტების გეტსის, პაკარდის, ვექსნერის ფონზე, აზრი ბ-ნი შტრაუსის „ნამდვილ კაპიტალისტობაზე" სასაცილოდ გვეჩვენება. ასეთი ხალხი აკეთებდნენ და აკეთებენ რკინიგზებს, მანქანებს, კომპიუტერებს და არა გარიგებებს. ასეთ ხალხს „კლიენტთა ნუსხა" არ გააჩნიათ. მათ აქვთ ქარხნების საგადასახადისო უწყისები და ინვენტარი, ხოლო ბ-ნი შტრაუსისნაირ ადვოკატებს ისინი ქირაობენ.

აი სადამდე მივიდა ამერიკული კაპიტალიზმის დეპრესია, რომ „ნიუ-იორკ ტაიმსსა" და ბევრს ვაშინგტონში ნამდვილ კაპიტალისტად მთავრობის სავარძელში მოკალათებული გავლენიანი ბროკერი მიაჩნია.

ის, რასაც დღეს ბ-ნი შტრაუსი და მისი მსგავსი ადვოკატთა ლეგიონი აკეთებს, არ არის სამარცხვინო. დღესდღეობით სახელმწიფო ძალაუფლება იჭრება რა საზოგადოებაში, სიმდიდრის და შესაძლებლობების გადანაწილების მიზნით ავსებს და აძევებს საბაზრო ძალებს. ბუნებრივია, რომ თავის მხრივ კერძო კაპიტალი ქირაობს პოლიტიკურ ადვოკატებს, ვინაიდან მთავრობის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კონკურენციის მნიშვნელოვან ასპარეზად გადაიქცა. მაგრამ უცნაურია იმასთან შეგუება, რომ საბჭოთა კავშირში ამერიკის ეს ასპექტი უფრო უნდა იყოს წარმოდგენილი, ვიდრე მისი მწარმოებელი მხარე...

...ან ის (გორბაჩოვი) არ გულისხმობს იმას რასაც ლაპარაკობს, და ამ შემთხვევაში ის ნაწილობრივ დამნაშავეა ამ სირთულეების არსებობაში ან და მის სიტყვებს მაინცდამაინც ფასი არა აქვს და ამ შემთხვევაში მას უბრალოდ არ შეუძლია გავლენა იქონიოს ამ პრობლემის გადაჭრაში.

# რამდენიმე სტრიქონით

**მსოფლიო** ბანკის მონაცემებით წლიურად მსოფლიოში შეიარაღებაზე იხარჯება ერთი ტრილიონი დოლარი. ჩვენი პლანეტის დაძაბული კერებია სპარსეთის ყურე, ცენტრალური ამერიკა, ავღანეთი, საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია, ეთიოპია, ანგოლა, სომალი, კამბოჯა. ბანკმა მოუწოდა ამ რეგიონების მთავრობებს შეანელონ გამალებული შეიარაღება.

**მოლდოვის** ხელმძღვანელმა სნეგურმა რესპუბლიკაში მომხდარი წყალდიდობის გამო გლოვის დღე გამოაცხადა. დაიღუპა 30 ადამიანი, განადგურდა ათასამდე საცხოვრებელი სახლი, დაიტბორა 300 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა.

**ინდოეთის** პოლიციამ დაადგინა რაჯივ განდის უშუალო მკვლელის ვინაობა. მკვლელი აღმოჩნდა „ტამილთა განთავისუფლების ვეფხვების" ორგანიზაციის წევრი დხანუ. იგი დაიღუპა აფეთქების დროს. პოლიციამ დაადგინა აგრეთვე, რომ ბომბი დაამზადა ვინმე „ცალთვალა ჯეკმა" მადრასში. გამოყოფილია ერთი მილიონი რუპია იმისათვის, ვინც დააკავებს „ცალთვალა ჯეკს".

**ეგვიპტის** გაზეთ „ალ-აჰრამის" მონაცემებით ეგვიპტელთა რიცხვმა 57 მილიონს მიაღწია. ვარაუდობენ, რომ საუკუნის დამლევს ეგვიპტელთა რიცხვი 70 მილიონს მიაღწევს.

**სლოვენიის** შინაგან საქმეთა მინისტრის იგორ ბავჩარის აზრით იუგოსლავიის სახალხო არმიის თვითმფრინავები წითელი ჯვრის ორგანიზაციის ნიშნებით სადაზვერვო ფრენებს ახორციელებს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში. იგი არ გამორიცხავს, რომ არმიამ შესაძლოა განმეორებით შეუტიოს სლოვენიას, მათ შორის დაბომბოს მთავრობის რეზიდენცია.

**ეთნიკური** შეტაკებების შედეგად დაახლოებით 8 ათასმა სერბიელმა დატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილები ხორვატიაში. მოელიან, რომ ლტოლვილთა რიცხვი მომავალში განუზომლად გაიზრდება. ხორვატიაში არასრული მონაცემებით ცხოვრობს 600 ათასამდე სერბი, რომლებიც აქ ავტონომიური ოლქის ჩამოყალიბებასა და მის სერბეთთან მიერთებას ცდილობენ.

**ინდოეთის** შტატ ასამში, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფას აპირებს, ახისტირებულია „ასამის განთავისუფლების ფრონტის" 650-მდე მებრძოლი. ამნისტიას წინ უსწრებდა დაპატიმრებულთა სამი მასობრივი გაქცევა ციხეებიდან.

**იუგოსლავიის** რესპუბლიკების ტერიტორიული თავდაცვის ჯარები შექმნა იოსებ ბროზ ტიტომ 1968 წელს, როდესაც საბჭოთა არმია შეიჭრა ჩეხოსლოვაკეთში. ტიტო ვარაუდობდა, რომ ტერიტორიული ძალები დამატებითი შემაკავებელი ფაქტორი იქნებოდა არმიასთან ერთად მოსკოვის შესაძლო აგრესიის შემთხვევაში. ბედის ირონიით სწორედ სლოვენიის ტერიტორიულმა ძალებმა მიაყენეს სერიოზული დამარცხება იუგოსლავიის სახალხო არმიას.

## ნოსტალგია

# ნახევარი საუკუნის შემდეგ

**მართლაც** რომ ძნელია იმ გრძნობის, იმ ტკივილისა და სიხარულის გადმოცემა, რასაც მშობლიური კუთხიდან მთელი ნახევარი საუკუნით მოწყვეტილი ადამიანი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ განიცდის.

ბევრი რამ მსმენია ამერიკელ მუსიკოსსა და მხატვარზე ბოცო ჩიქვინიძე-კორიშელზე. დედამისი — სუზანა ბეჟანიშვილი — რუსთაველის თეატრის ყოფილი მსახიობი, რომელსაც ერთ-ერთ პირველს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება, მეუღლე ცნობილი მსახიობის და „დურუჯის" ოფიციალური დამფუძნებელის — პლატონ ჩიქვინიძე-კორიშელისა, ჩემი ახლობელი გახლდათ. რამდენი უბედურება დაატყდა თავს ამ ოჯახს იმ ავადსახსენებელ ოცდათექვსმეტ წელში მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ საქვეყნოდ აღიარებული ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის უახლოესი მეგობრები იყვნენ.

პლატონ კორიშელი 1936 წლის 22 ნოემბერს დააპატიმრეს. უდანაშაულო ადამიანი აწამეს, და როგორც სულ ახლახან გამოქვეყნებული საარქივო მასალებით ირკვევა, მის საბრალდებულო საქმეში ჩაწერეს, რომ ახმეტელის ხელმძღვანელობით ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა, თავს არ თვლის დამნაშავედ, მაგრამ დახვრეტის მუხლი მაინც გამოუტანეს და 29 ივნისს განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

პლატონის მეუღლე და ვაჟი შიშით ცხოვრობდნენ. დედა სუზანა თეატრიდან დაითხოვეს, თავიანთ საკუთარ სახლში უცხო ხალხი შეუსახლეს. ყოველ დღე დაპატიმრებას ელოდნენ... ბოცო მაშინ სკოლის მოწაფე იყო. ნიჭიერი ყმაწვილი კარგად სწავლობდა, მუსიკაშიც დიდი წარმატება ჰქონდა. მასზე, როგორც ბრწყინვალე პიანისტზე პედაგოგები დიდ იმედებს ამყარებდნენ. თან უცხო ენას, გერმანულსაც კარგად ეუფლებოდა. ცხოვრება ჭირდა, მაგრამ კეთილ ადამიანებს რა გამოლევს. დედა სუზანა მუსკომედიის თეატრში მიიწვიეს, კინოსტუდიაშიც დაიწყო გადაღებებზე მუშაობა. მსახიობთა ბრიგადებშიც იღებდა მონაწილეობას.

ბოცო ჩიქვინიძეს თბილისის მე-18 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მსახიობების ოჯახში და გარემოცვაში გაზრდილს, თეატრალურ ინსტიტუტში უნდოდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ ხალხის მტრის შვილად მონათლულს, უმაღლესი სასწავლებლის გზა გადაკეტილი ჰქონდა. ბოცო იმედს არ კარგავდა. მით უმეტეს, რომ ინსტიტუტის მაშინდელი ხელმძღვანელი აკაკი ხორავა ჰპირდებოდა: ცოტა მაცალე და აუცილებლად ჩაგრიცხავო. 1940 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. წესით, როგორც დედისერთას, თანაც „არა საიმედოს" ჯარში წასვლა არ ეკუთვნოდა, მაგრამ გადაწყვიტა, თავისი მოვალეობა მოეხადა და თან იქნებ ის უნდობლობის იარლიყი მაშინდელმა ხელისუფლებამ რომ მიაკერა, როგორმე ჩამოეხსნა და თავისუფლად ამოესუნთქა.

თბილისიდან (გაცილებაც ბოცოსთვის მძიმე მოსაგონარია. ზამთრის ცივი დღე იდგა. დედამისი მსახიობთა ბრიგადასთან ერთად სადღაც მთიან რაიონში იყო საგასტროლოდ წასული. დეპეშა შვილის წასვლის თაობაზე გვიან მიიღო, და რომ ჩამოესწრო, უგზოობის გამო, დათოვლილი მთა ფეხით გადმოიარა. დედაშვილი მხოლოდ ვაგზალში შეხვდნენ ერთმანეთს. ძლიერი ნებისყოფის ქალი იყო დედა სუზანა, შვილი გამხნევა, არაფერი აგრძნობინა, რომ მისი წასვლით მარტოდმარტო რჩებოდა. ვაჟკაცი ხარ და წადი, ჯარში იმსახურეო. მატარებელი რომ დაიძრა, მხოლოდ მაშინღა ვერ შეიკავა თავი და ჩაიკეცა. ეს იყო დედა-შვილის უკანასკნელი შეხვედრა.



გავიდა დრო. ბოცო ხშირად უგზავნიდა დედას წერილებს. ატყობინებდა, რომ მათი სამხედრო ნაწილი დნეპრის სანაპიროზე იდგა. იმასაც წერდა, გერმანელები საომრად როგორ ემზადებოდნენ, შემდეგ კი... 1941 წლის 22 ივნისის დილაა, ომის დაწყება. რაღაც ჯოჯოხეთური ცეცხლი და რამდენიმე დღეში მთელი მათი ნაწილი მტრის ხელში ხვდება. იწყება ტყვეობის მძიმე პერიოდი.

ასეთივე მძიმე დღეები დაიწყო დედამისისთვის თბილისში. წერილები შეწყდა. ბოცოსი არაფერი ისმოდა. დედა იმედით ცხოვრობდა. მოლოდინში გაიარა ომის წლებმა. გამარჯვების დღეც დადგა. ბევრი დაბრუნდა, მაგრამ ბოცოსი არაფერი ისმოდა. დედა წუხდა, მაგრამ იმედს არ კარგავდა, იქნებ ღმერთმა გადმომხედოს და შვილი ცოცხალი გადამირჩინოსო.

მხოლოდ 1960 წელს, დედა სუზანას სუხიშვილის ანსამბლის ერთმა მოცეკვავემ სასიხარულო ამბავი ჩამოუტანა. ბოცო ამერიკაში ვნახე, იქა ცხოვრობს და თქვენი ამბავი რომ ვაცნობე, არ დამიჯერა, დედაჩემი ცოცხალი როგორ იქნება, ჩემს დაგვიანებას ვერ იტანდა და ამდენი წლის უნახაობას როგორ გაუძლებდაო. სასწრაფოდ წერილი აფრინა თბილისში. წერდა, რომ დაამთავრა ლოს-ანჯელესის კონსერვატორია, უგზავნიდა დიპლომის, მისი სოლო კონცერტების პროგრამების ფოტოპირებს, თავისი ცოლ-შვილის სურათებს. ატყობინებდა, რომ ჰყავდა ქალ-ვაჟი, თემური და თინა. სთხოვდა, გოგებაშვილის „დედა ენასა" და ქართულ წიგნებს, რომ მათთვის ქართული ენა ესწავლებინა. ასე გაგრძელდა ერთხანს დედა-შვილის სიხარულის დღეები. მაგრამ დედის გულმა დიდხანს ველარ აიტანა ამდენი მღელვარება და 1961 წელს გარ- [illegible]

— კორიში, საიდანაც მისი წინაპრები იყვნენ და რომლის ფსევდონიმიც მამამისმა აიღო და თავადაც ატარებს. შეხვედრები ჰქონდა თავის კლასელებთან, ჯარში ნამყოფ ამხანაგებთან. მთელი საქართველო მოიარა.

მაგრამ მუდამ შრომაში ჩაბმულს, ბოცოს მარტო მოგზაურობა არ აინტერესებდა. მისი მიზანია შექმნას რაიმე ძეგლი და საჩუქრად თბილისში დატოვოს. აქაც ამისთვისაც მოიწვია საქართველოს კულტურის ფონდმა. ამ საქმეში მას დიდი ამაგი დასდეს გიორგი შენგელაიამ, საშა რეხვიაშვილმა, თემო გოცაძემ, რომლებმაც იგი ამერიკაში, კალიფორნიაში გამართულ კინოფესტივალზე გაიცნეს, დაათვალიერეს მისი ნამუშევრები და საქართველოში მოწვევას დაჰპირდნენ. ბატონი ბოცო დიდად ემადლიერება ზურაბ წერეთელს, ლეო ბაქრაძეს, მერაბ ბერძენიშვილს, გოგი ოჩიაურს, ტარიელ ქუთათელაძეს, განსაკუთრებით დათო სიხარულიძეს, რომლის სახელოსნოშიც იგი ამჟამად მუშაობს. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ ამერიკელ მხატვარს საშუალება მისცემოდა ემუშავნა და თავისი ჩანაფიქრი ქვაში აემეტყველებინა.

სახელოსნოში იმ დროს ვეწვიეთ, როცა ბოცო სპეციალური ელექტრობურღით ქვას ამუშავებდა. იქვე მისი ახალგაზრდა მეუღლე მარგარიტ კორიშელი, [illegible]

რომელიც ალექსანდრე პაპუაშვილის მეუღლე გახლდათ. მამიდაჩემმა 500 დოლარი გადაიხადა, რომ მე ამერიკაში ჩავსულიყავი. იგი ძალიან დამეხმარა, სწავლა ლოს-ანჯელესის კონსერვატორიაში გავაგრძელე, მამიდასთან ვცხოვრობდი. ლიდია ძალიან ნიჭიერი ქალი იყო, საოცარ ლამაზ მოდელებს ქმნიდა და გასამრჯელოსაც კარგად იღებდა, მახსოვს, თითო კაბაში ათას დოლარს აძლევდნენ. მაგრამ მამიდასთან ჩემი ურთიერთობა თანდათან დაიძაბა. მე ყოველდღიურად რამდენიმე საათს ვუკრავდი, რაც მას ძლიერ აწუხებდა, ამიტომ საცხოვრებლად სხვაგან გადავედი და თანდათან დამოუკიდებლად დავიწყე ცხოვრება. მამიდაჩემის ვალიც გადავიხადე, ცოლ-შვილსაც მოვეკიდე. პირველად ვცადე კონცერტების გამართვით მეცხოვრა, მაგრამ ამერიკაში ეს ძალიან ძნელია, თუ კარგი მენეჯერი არა გყავს, არაფერი გამოგივა. ამიტომ გადავწყვიტე სხვა პროფესიაც მეძებნა. კალიფორნიის უნივერსიტეტში ხელოვნება და მუსიკის ფაკულტეტი დავამთავრე და მასწავლებლობა დავიწყე. სადოქტორო დისერტაცია გერმანიაში ბრაინბურგის უნივერსიტეტში დავიცავი და პროფესორის წოდება მივიღე. ვასწავლი ამერიკაშიც და გერმანიაშიც.

**— ქანდაკებამ როდისღა გაგიტაცათ?**

— 1958 წელს შევხვდი ქართველ მოქანდაკეს გიორგი პაპაშვილს, რომელიც უაღრესად ნიჭიერი კაცი იყო. მან შვილივით მიმიღო და როცა ჩემი მხატვრობით გატაცება გაიგო, შეგირდად ამიყვანა. პირველად ფერწერით [illegible]

## ლიტერატურა

# „სლანსკი, ასჩვიდმეტი"

„**პოეტური** ნაწარმოები უთუოდ წაგავს შიფრით ნაწერს", — გვასწავლის კონსტანტინე გამსახურდია და ეს პირველ რიგში მისივე ნაწერებს გამო ითქმის. მწერლის სიტყვა მართლაც არის მრავალუცნობიანი განტოლება, რომელშიც მოძრაობს ნაირგვარი აზრი, სახე და სიმბოლო. მაგრამ არის ერთი გამჭოლი მოტივი — სამშობლოს გრძნობა, ყოველი ფიქრის დასაბამი, მრავალ სარკეში არეკლილი. განწყობილება სტიქიურადაც იმორჩილებს მკითხველს, მაგრამ აზრის პოვნა მას აძლევს ძალასა და სიმყარეს და განუყრელად სდევს მეხსიერებას.

ასეთივე შიფრითაა ნაწერი „დიონისოს ღიმილი" — „დაკარგული თაობის „სევდიანი წიგნი", რომლის აპოგეაა „ჯოჯოხეთად ჩასვლა კონსტანტინე სავარსამიძისა" — მისტიკური ხილვა.

...შინ გვიან მობრუნდა ციებით სნეული, ნამთვრალევი, ნერვებმოშლილი კონსტანტინე სავარსამიძე. სტეარინის სანთელი აანთო და ოთახში შევიდა. უცებ **წითელი მამალი** შეეფეთა. გაეკიდა ფრინველს, სალომესაც ბევრი უძახა, მაგრამ ოთახიდან ვერ გამოდენა. მტანჯველ ზმანებაში ფანჯარა გაიღო და **„წითელი პირსისხლიანი ფრინველი — ქორიპა შემოფარფატდა"**, ნისკარტით მაღლა აიტაცა სავარსამიძე. შემდეგ ჰაერში გაუშვა და ძირს დაანარცხა. გაირღვა მიწა და სადღაც ველზე, ე. ი. საზღვარს მიღმა აღმოჩნდა. აქ იგი გარდაისახა აბჯრით შეჭურვილ კონსტანტინე არგვეთის მთავრად, ვისი ლანდიც მუდამ სდევდა ლაზისტანის ძველი აზნაურის მწუხარე ოდისეას. ხედავს, რომ მოისწრაფის დახრამნილი გველი და **„წითელი, გამხვრეტი თვალი"** შემოაჩერა. კონსტანტინემ შეულოცა და გველი გაფრინდა ჩრდილოეთისაკენ, ალბათ იქითკენ, საიდანაც მოვიდა.

ამრიგად, წითელი მამალი, წითელი ქორიპა და გველის წითელი თვალი მიუძღვიან კონსტანტინე სავარსამიძეს ჯოჯოხეთისაკენ, ანუ სიკვდილის საუფლოსაკენ. სრულიად ნათელია ქარაგმის აზრი, შიფრში მოციქული სინამდვილე, რომელმაც სასოწარუკვეთა სამშობლოს სიყვარულით ველად გაჰრილ მეოცნებეს. ახალი დრო და „გრიგოლ ხანძთელის გადაგვარებული სახლიკაცები" ადრე თუ გვიან სიცოცხლეს მოუსწრაფებენ კონსტანტინეს, რადგან მისი ცოდნა, აზრი და ფიქრი მიუღებლად ეჩვენებათ.

კონსტანტინე სავარსამიძე სიზმარში შეჰხარის აყვავებულ კოლხიბერთა მხარეს, ნატრობს დაიმარხოს მტკვრის პირას, ქართლოსის საფლავის ახლოს; ცხადში იარაღი შემოაქვს, მუშაობს განთავისუფლების კომიტეტში, გერმანელებს თხოვს დახმარებას. მაგრამ ეს იყო ადრე, ახლა კი საშინელი დეპრესია დაუფლებია. ამიტომ გამხდარა ეროსისა და დიონისოს მედაფე, რათა შეიქმნას მსოფლმხედველობრივი ბარიერი, უარმყოფელი რუსული ბოლშევიზმის ექსპანსიისა, მიმართული ნაციონალური საწყისების აღდგენისაკენ.

კონსტანტინეს ზმანება დეპრესიული განწყობილების სახეებად გაშიფრვაა, იმის ამოცნობა და აზრის მიგნება, რაც სულს უწამლავს, მოქმედების უნარს ართმევს და ლოთობისა და ეროტომანიისაკენ უბიძგებს. მან სწორედ სიზმარში მიაკვლია თავისი არსებობის ნამდვილ ხვედრს — ჯოჯოხეთურ ყოფას და მის მთავარ მიზეზს — მარმარილოს ტახტზე მჯდარ ჩრდილოეთის მეფეს, რომელსაც სლანსკი ჰქვია.

ვინ არის სლანსკი?

კონსტანტინემ პარიზის ერთი სინემატოგრაფიული ფირმის რიგში ნახა „მაღალი, ქერა, ცხვირჩაპყლეტილი რუსი" და არ მოეწონა. შემდეგ რესტორანში ემიგრანტი რუსის ოფიცრები სცემეს ჩერქეზმა მხატვარმა ხალილ-ბეიმ, ქართველმა ტერორისტმა თადა ლანდიამ და ქართველმა პოეტმა კონსტანტინე სავარსამიძემ. ერთ მათგანს, „ცხვირჩაპყლეტილ, ლაწვმაღალ, ქერა რუსს", რომელსაც ამხანაგები სლანსკის ეძახდნენ, ბურგუნდით სავსე ბოთლი თავში ჩაარტყა და რევოლვერი წაართვა. მას შემდეგ აეკვიატა ეს საძულველი ჩვენება, არც უფიქრია — რატომ და რისთვის. ჭინჭრის ციებით სნეულს ეზმანა, ვითომ მოვიდა სლანსკი და მარცხენა ხელიდან ააცალა ჯენეტის მიერ ნაჩუქარი სმარაგდის ბეჭედი — ერთგულებისა და სიყვარულის ფარეში.

ამრიგად, რომანოვების რუსეთის სიმბოლოა სლანსკი, რომელსაც სძულს ქართველი ხალხი, ქართული ხმა და სიმღერა: „ოსტავტე ვაში დიკია ვოპლი", „ესროლე მაგ ველურს". თეთრგვარდიელი ემიგრანტის სახე დაიტვირთა ისტორიული ასოციაციებით, მოექცა კონსტანტინეს არაცნობიერ ფსიქიკაში, რაც სრულად ზმანებით გამოვლინდა, იქცა რა ჩრდილოეთის ტახტის მპყრობელად.

სწორედ წითელთვალა გველის კვალმა მიიყვანა კონსტანტინე ჩრდილოეთის მეფის კოშკთან, ე. ი. გაიბა პირდაპირი კავშირი წითელ დროშიან იმპერიასა და ორთავიანი არწივის სამეფოსთან. სლანსკის ხომ თავზე ჩრდილოეთის მეფის გვირგვინი ხურავს, მუხლზე ორთავიანი არწივი უზის, რომელსაც ერთ თავზე ბაგრატიონის გვირგვინი ადგას, ხოლო გვირგვინში ჩასმულია თამარ მეფის ალმასი. სლანსკის ორივე მათგანი მიუთვისებია — გვირგვინიცა და ალმასიც. წითელი ფერის სამგზის მოლანდებამ მიიყვანა კონსტანტინე „ლაწვმაღალ, ყვითელპოლეტებიან მონღოლთან" ანუ საკუთარი სულის სიღრმეში ჰპოვა საწყისი, თუ რატომ უნდა სძულებოდა რეალობაში — თეთრგვარდიელი ოფიცერი სლანსკი, სიმბოლურად — ჩრდილოეთის ტახტზე მჯდარი, რომელსაც არყის, ნივრისა და დამპალი კომბოსტოს სუნი ასდის, ხანჭკოლასფერი თვალებით შემომჭყურებს და ყურებიდან თილგამი ჩამოსდის.

სლანსკიმ კონსტანტინეს ააცალა ჯენეტის მიერ ნაჩუქარი სმარაგდის ბეჭედი. ჯენეტი კონსტანტინესათვის საქართველოს სიმბოლოა, ქალი, რომელიც მუდამ ქრისტეზე ლოცულობს, წმ. გიორგის ერთგულია, უცხოელი სძულდა, მაგრამ მაინც უცხოელის ცოლი გახდა და ასე გაუბედურდა. სლანსკიმ ბაგრატიონთა დინასტიის გვირგვინიც მიისაკუთრა, იმ ბაგრატიონებისა, რომლებიც ათასი წელი ისხდნენ გაერთიანებული საქართველოსა თუ მისი ცალკეული კუთხეების ტახტზე. სლანსკის თამარის ალმასიც მიუთვისებია. თამარი ქართველთა სალოცავია, ქართველი ქალის უპირველესი სახელი, რომელსაც დედას უწოდებს სავარსამიძე. ასე რომ, სლანსკიმ წაართვა სავარსამიძეს მამული, დედა და ცოლი. ამიტომ ფუყავს იგი მეტოქეს: „ სლანსკი, მე და შენ ერთ სახლში ვერ დავეტევით", „უკუდექ, ჩემო სისხლით გალეშილო"...

ისინი ურთიერთმოპირისპირე რასის შვილები არიან, შეურიგებელი ბუნებისა:

„სლანსკი! შენ — ყინულეთი, მე — მზისგული, შენ — თოვლი, მე — ცეცხლი, შენ — მურტალი, ლორის ტყავის ფარივით ფართო და რგვალი, მე — ქართული ხანჯალივით ბასრი და წვეტიანი"...

ჩრდილოეთის ტახტის დასამხობად დასავლეთიდან და სამხრეთიდან თეთრი, შავი და ენდროსფერი ულაყებით მოისწრაფიან — გერმანელი ჰერბერტ შტუდერსი, ერთ დროს ნაზი და მეოცნებე პოეტი, შემდეგ — მეომარი ნაციონალისტი („მე ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიცხოვრო უომრად, ხვალ რომ საფრანგეთმა ომი გამოგვიცხადოს, კიდევ ოთხი წელი სანგრებში ვიწოლები: ოღონდ ველირსო გერმანიის ვარსკვლავის ხელმეორედ ამოსვლას"), ფრანგების ტყვიით განგმირული; ჩერქეზი მხატვარი ხალილ-ბეი, ავტორი სურათებისა — „ჩინგიზ ხანის შემოსევა" და „დიონისოს მეორედ მოსვლა"; ქართველი სავარსამიძე, რომელიც წმ. კონსტანტინეს აბჯრმოსილი ებრძვის მონღოლ სლანსკის, როგორც წმ. გიორგი დრაკონს. მწერალი ხომ ქადაგებდა ლათინურ-გერმანული სულის ერთობას, როგორც მოკავშირეს აზიიდან წამოსული აპოკალიპსური წარღვნის — ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ფაუსტური კულტურის გადასარჩენად. რეალურ იმედად კი საქართველოსა და მთელი კავკასიისათვის რჩებოდა გერმანია — „მარადიულ ღმერთთან მორკინე იაკობი", ვინც ბედისწერას აუმხედრდა, ვინც საქართველოს 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა მოაპოვებინა.

„სლანსკი, ასჩვიდმეტი", — შესძახებს სავარსამიძე. ეს არის ბრძოლის პაროლი, რომლის დროსაც არგვეთის მთავრის ხრმალით გადაუთალა მოსისხლარს ხრმალი, გადაუმტვრია ოროლი, გადაუჩეხა წერაქვეცული, გადაუჭრა წათი, გაჰკვეთა შუბი. სამი დღე-ღამე ერკინებოდნენ ერთურთს და ტანზე აბჯარი შემოაცვდათ.

„ასჩვიდმეტი" ასჩვიდმეტწლიანი ტანჯვის პაროლია რომანოვების იმპერიაში, 1801-დან 1918 წლამდე, რომელზეც თავის სტატიაში „ANNO 1917" მიგვითითებს კონსტანტინე გამსახურდია. ამიტომ უნდა მოკვდეს ეს აპოკალიპსის მხეცი თუ დრაკონი, საზიზღარი ხანჭკოლასფერი თვალებით რომ შემოსცქერის.

„კიდევ ამდენი", ამბობს და მოდის დათვი პირსისხლიანი".

მონღოლ სლანსკის ეცოტავება ასჩვიდმეტი წელი. მას სჯერა, რომ საქართველო კიდევ დიდხანს ვერ გაუსხლტება ორთავიანი არწივის კლანჭებს. სამოცდაათი წელი დასჭირდა ძალთა მოკრებას და ისევ ებრძვის სახედასიებულ სლანსკის არგვეთის მთავრის ხორასნული. ხოლო მაშინ ტაია შელიას შელოცვით სძლია ურჩხულს სავარსამიძემ, ყელი გამოსჭრა და მტრის სისხლი დალია. სიცოცხლეს შეევედრა სლანსკი, მაგრამ პირობა ისე აუსრულა, როგორც მან ერთხელ, ე. ი. როცა მოტყუებით ჩაიგდო ხელში ბაგრატიონთა გვირგვინი და თამარის ალმასი. აქ ისტორიული ექსკურსიც არ უნდა იყოს ზედმეტი: მწერლის სიტყვით, პავლე პირველი იაშვილმა დაახრჩო, ხოლო ნიკოლოზ II ვალია ბახტაძემ შეიპყრო.

მაგრამ რატომ იქცა მარმარილოს ტახტზე მჯდარი სლანსკი ყვითელეპოლეტებიან მონღოლად? გავიხსენოთ კ. გამსახურდიის ესსეები „მესამე საფრთხე" და „ერი თუ რასსა", მსჯელობა ჯიშის სიწმინდესა და სისხლის აღრევაზე, გადაგვარებასა და სრულყოფაზე. მწერლის აზრით, სლავების სისხლში შეიჭრა „მონღოლური ნაკადი", აირია — ერთიმეორისათვის სრულიად უცხო ჭოპირისპირე ტემპერამენტის სისხლი" და ჩამოყალიბდა ბასტარდი ერი. მონღოლურ-თათრული წარმოშობისა იყო ულიანოვ-ლენინიც. ამიტომ არის მონღოლური საფრთხით და აზიის ხელახალი შემოტევით კოდირებული რუსული ბოლშევიზმი, რომელიც ევროპას აპოკალიპსური წარღვნით ემუქრება.

და ბოლოს — მკითხველს გვინდა ვუთხრათ, რომ სლანსკისთან ბრძოლის ეპიზოდს სრულად შეიცავს „დიონისოს ღიმილის" 1925 და 1933 წლის გამოცემები. ხოლო შემდეგ საგრძნობლად შეიკვეცა და შესწორდა (რადგან სავსებით სწორად ჩათვალეს და მიიჩნიეს, რომ საბჭოეთი ეს იგივე რუსეთის ფერშეცვლილი იმპერიაა). ეს ეპიზოდი ისევე უნდა აღდგეს, როგორც მამისმკვლელობა აღდგა „მთვარის მოტაცებაში". ორივე მათგანი ნათლად გვიჩვენებს მწერლის აზროვნების ძალას და შეურიგებელ ნაციონალურ-სოციალურ სულისკვეთებას.

**სოსო სიგუა.**

## აკაკი

# მსჯელობა ლიტერატურის თეორიის საკითხებზე

**საქართველოს** რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებულმა ლიტერატურის თეორიის, ისტორიისა და ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭომ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩაატარა აკაკი წერეთლის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული ლიტერატურის თეორიის, ისტორიისა და ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გიორგი ციციშვილმა.

მოხსენება თემაზე „ეროვნული იდეალი აკაკი წერეთლის ლირიკული ქმნილებების მიხედვით", წაიკითხა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნოდარ ჭოლოკავამ.

შესავალ სიტყვასა და მოხსენებაში ილაპარაკეს აკაკი წერეთლის ლირიკის ეროვნულ ხასიათზე, მის უდიდეს დამსახურებაზე ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ყურადღება გამახვილდა პოეტის შემოქმედების გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდგომ პერიოდზე, როცა იმპერატორ ალექსანდრე II-ს მკვლელობის შედეგად უკიდურესად გაძლიერდა რეაქცია, როცა ცარიზმი გადავიდა გადამწყვეტ შეტევაზე იმპერიის განაპირა მხარეების ასიმილირების მიზნით. ითქვა, რომ სინამდვილეში მიმდინარე პროცესების ღრმა და სწორი ანალიზის უნარმა და გენიალურმა პოეტურმა ნიჭმა აკაკი წერეთელს შესაძლებლობა მისცა საკუთრივ ლირიკის შედევრებთან („განთიადი", „ციცინათელა", „ქებათა ქება", „აღმართ-აღმართ") ერთად შეექმნა სატირულ-იუმორისტული ლექსები, რომლებითაც სამარცხვინო ბოძზე გააკრა არა მარტო ცარიზმის მოხელეები, არამედ გადაგვარებული ქართველებიც. ყურადღება გამახვილდა ილიას მკვლელობის შემდგომ პერიოდზე აკაკის პოეზიაში, როცა პოეტი მთელი არსებით გრძნობდა, რომ თავისი დიდი თანამებრძოლის გარეშე უნდა ეკეთებინა ისიც, რასაც ილია თავისი გოლიათური შემოქმედებით — ინტელექტუალური ძალების დაძაბვით აკეთებდა. აკაკიმ ტიტანური შემართებით შეძლო ეტარებინა მშობლიური ხალხის სამსახურის უდიდესი ტვირთი, რომლის ტარება თაობებსაც გაუძნელდებოდა.

ლიტერატურის თეორიის საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **გივი ლომიძე** (ლოგიკური და პრაგმალოგიური ხორმიდან გადახვევა როგორც კომიკურის წყარო და ზომის საკითხი), ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი **ზინო დობორჯგინიძე** (ვაჟა-ფშაველას მხატვრული აზროვნების ხასიათის გარკვევისათვის), ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები **როლანდ ბერიძე** (რუსთველისეული ნახევარტაეპის „ვის ედებოდა ვის ალის" გაგებისათვის), **ალექსანდრე ქურიძე** (მემუარებისა და ავტობიოგრაფიის ჟანრული მიმართების შესახებ), **ინეზა გუგულაშვილი** (ავტორისეული მეტყველება), **ირაკლი კობიძე** (სარაინდო რომანისა და მხატვრული ეპოსის ურთიერთმიმართების საკითხისათვის), შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტები **ქეთევან ლვინიაშვილი** (ავტობიოგრაფიული ელემენტი მარსელ პრუსტის რომანში „დაკარგული დროის ძიებაში"), **მარინე ფურაძე** (მხატვრული გამოსახვის ხერხები ვასილ ბარნოვის რომანებში), ასპირანტი **ნინო თოხაძე** (გროტესკის რაობისათვის), გამომცემლობა „მეცნიერების" მთავარი რედაქტორი **ნინო დარბაისელი** (გალაკტიონ ტაბიძის ვერლიბრი).

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ პროფესორი **აპოლონ ცანავა**, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები **შოთა ვაშაყმაძე**, **პორფილე იაშვილი**, **მანუჩარ ანთაძე**, **გივი ახვლედიანი**, **სერგო თურნავა**, ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები **რობერტ თაგაური**, **ლია გუგუნავა** და სხვები. მათ დადებითი შეფასება მისცეს მოხსენებებს და ამასთანავე საყურადღებო შენიშვნები გამოთქვეს.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა აკადემიკოსმა **გიორგი ციციშვილმა**.

(„საქართველოს რესპუბლიკის" კორ.)

## ხიდი



# „ალია საქართველოდან" საქართველოში

**საქართველოდან** ამოსულთა გამოცემას —გაზეთს „ალია საქართველოდან", რომელიც ისრაელში უკვე 18 წელია არსებობს, ახლა ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებლებიც წაიკითხავენ. ასეთი შესაძლებლობა მისცა მათ სრულიად საქართველოს საზოგადოებამ „არსმა".

ამჟამად თელ-ავივის გარეუბანში — მათ-იამში გამომავალი გაზეთის ნამზადს პირდაპირი რეისით გზავნიან თბილისში. თბილისში უკვე გამოვიდა „ალიას" სამი ნომერი. პირველი ორი ნომერი ადაპტირებულია. ყველა დანარჩენი ნომერი, როგორც ორიგინალი, გამოვა კვირაში ორჯერ რვა და თექვსმეტ გვერდად.

პირველ ნომერში ახალ მკითხველს მისალმების გულთბილი სიტყვებით მიმართავს გაზეთის „ალია საქართველოდან" გამომცემელი და რედაქტორი აბრამ სეფიაშვილი. იგი გამოთქვამს იმედს, რომ სწორედ მკითხველის ინტერესი, გაზეთისადმი კეთილმოსურნეობა დაადასტურებს, რომ მისი გამოცემა საქართველოში გამართლებულია. თავის მისალმებაში საზოგადოება „არსის" პრეზიდენტი ლაშა ნადარეიშვილი აღნიშნავს, რომ ქართული სიტყვა კვლავ უბრუნდება საქართველოს, რადგან მის ფესვებს არასდროს არ დაუტოვებიათ მშობლიური მიწა.

გაზეთი შეიცავს სრულიად განსხვავებული ხასიათის ინფორმაციას, ცნობებს პოლიტიკის, ბიზნესის, კულტურისა და სპორტის შესახებ როგორც ისრაელში, ისე საზღვარგარეთ. გაზეთს ინტერესით წაიკითხავენ სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და წრის ადამიანები.

„არსთან" არსებული სარეკლამო სააგენტო იღებს რეკლამის შეკვეთებსა და განცხადებებს კერძო პირებისა და ორგანიზაციებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ისრაელის გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდონ ისინი. ეს შეიძლება იყოს ახლობლებისა და ნაცნობების მილოცვები, ცნობები საოჯახო დღესასწაულების შესახებ, პირადი ხასიათის სხვა ინფორმაცია. მისამართი: ჭავჭავაძის პროსპექტი № 49 (ა), ტელეფონები: 29-39-83, 29-43-32.

საქინფორმი

• • •

**სურათზე: თბილისში გადაბეჭდილი გაზეთის პირველი ნომრები.**

**საქინფორმის ფოტოქრონიკა.**


## განცხადება

### ბავშვთა ზაფხულის გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ

**დადგა** ბავშვთა ზაფხულის გამაჯანსაღებელი პერიოდი.

ყოველდღიურად ბავშვთა სულ ახალ-ახალი ნაკადი ემატება რესპუბლიკის აგარაკებს.

ბავშვთა ზაფხულის გამაჯანსაღებელი აგარაკების განლაგების ადგილებში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია დროულად განახორციელოთ ყველა საჭირო ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები: განუხრელად უნდა შესრულდეს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივი ორგანოების მითითებანი.

ბავშვთა გამაჯანსაღებელი აგარაკების ხელმძღვანელობამ და ყველა მუშაკმა უნდა იცოდეს და მტკიცედ დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების დადგენილი წესები.

დახმარებისა და კონსულტაციისათვის ადგილობრივ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებსა და სახანძრო საზოგადოების გამგეობებს მიმართეთ.

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო,**
**საქართველოს სახანძრო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი,**
საინფორმაციო სარეკლამო სააგენტო „ამარტი"

## განცხადება

**გაზეთ** „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას ესაჭიროება კვალიფიციური მბეჭდავ-მემანქანეები.

პირობებისათვის დარეკეთ. 99-66-10.

### გაიმართება დამფუძნებელი კონფერენცია

**1991 წლის** 17 ივლისს საღამოს 7 საათზე საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართება საქართველო-ფინეთის საზოგადოების დამფუძნებელი კონფერენცია.

**საინფორმაციო ჯგუფი**

### მოქალაქეთა საყურადღებოდ

**დადგა** ზაფხულის ცხელი და მშრალი ამინდები. ტყეებში, პარკებში და განსაკუთრებით მთის ფერდობებზე გახმა ბალახი და ბუჩქნარები, ამიტომ მცირედი გაუფრთხილებლობაც კი ხანძრის წარმოშობის დიდ საშიშროებას ქმნის.

**იყავით ფრთხილად!** ნუ დააგდებთ ანთებულ ასანთს და სიგარეტის ნამწვავს. ნუ გააჩაღებთ კოცონს ტყეში.

დაიცავით მწვანე ნარგავები ხანძრისაგან.

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო, საქართველოს სახანძრო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი**

• • •

**ფირმა „ჰუმანიზმი"**

ხელშეკრულებით სამუშაოდ იწვევს იუმორისტებს, პაროდისტებს, სატირიკოსებს, მეკაფიეებს, მოშაირეებს, კომიკოსებს, ჟონგლიორებს, როგორც პროფესიონალებს, ასევე არაპროფესიონალებს.

**მისამართი:** ლერმონტოვის, ქ. 19. ტელ: 98-20-76. 9-დან 18 საათამდე გარდა შაბათ-კვირისა.

საინფორმაციო სარეკლამო სააგენტო „ამარტი"


## გამოსათხოვარი

# გივი დიმიტრის ძე ვარდოსანიძე



დაიბადა 1924 წელს.

1941 წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, პარალელურად იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის მსმენელი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში", სადაც გაიარა გზა რიგითი ლიტმუშაკიდან გაზეთის რედაქტორამდე.

უკანასკნელ წლებში, გარდაცვალებამდე მუშაობდა სამეცნიერო-ტექნიკური თარგმნის ცენტრში, დირექტორის მოადგილედ.

გივი ვარდოსანიძე იყო საქართველოს მწერალთა კავშირისა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

არის ავტორი წიგნებისა: „წერილები", „სიტყვა და ცხოვრება" (კრიტიკული წერილების კრებული), მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოებისა „გონჯი მზეთუნახავი". უკანასკნელ წელს დაარსა ჟურნალი „იოგა" და გამოსცა ლექსების კრებული „ზამთრის ყვავილები".

მისი ნაწარმოებები იბეჭდებოდა რესპუბლიკის მხატვრულ ჟურნალ-გაზეთებში.

იყო ჟურნალ „კრიტიკის" სარედაქციო კოლეგიის წევრი. ეწეოდა აქტიურ საზოგადო მოღვაწეობას.

**საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი; საქართველოს განათლების სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანის ცენტრი.**

**საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მწერალი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი**
**გივი დიმიტრის ძე ვარდოსანიძე**
**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**


**მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი**

[illegible]